პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 1917-ე წლიდან | № 46 (11959) | ხუთშაბათი, 23 თებერვალი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გაითვალისწინეს რა მშრომელთა მრავალგზის გამოთქმული სურვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესია და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებანი მოეწყოს 1961 წლის 12 მაისს.

საბჭოთა არმია — მშვიდობის არმია

ღეს ჩვენი ქვეყნის ხალხები დიდი სიამაყისა და სიყვარულის გრძნობით აღნიშნავენ საბჭოთა შეიარაღებული ძალების სახელოვან ორმოცდაშვიდმეტე წლისთავს. ისინი ერთსელ კიდევ თვალს აელებენ დიდების შარავანდედით მოსილ გზას, რომელიც აქ ხნის მანძილზე განვლო ხალხთა ძმობისა და მეგობრობის არმიამ — საბჭოთა არმიამ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბრძოლების ცეცხლში კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა შექმნეს პროლეტარიატის დიქტატურის დაცვის არმია. „ეს არმია, — ამბობდა ვლადიმერ ილიას-ძე, — მოწოდებულია დაიცვას რევოლუციის მონაპოვარნი, ჩვენი სახალხო ხელისუფლება, ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები, მთელი ახალი, ჭეშმარიტად დემოკრატიული წყობილება ხალხის ყველა მტრისაგან“.

იმპერიალისტური სახელმწიფოები გააცოფა რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ და მათ განიზრახეს მისი აკვანშივე ჩახრჩობა. ამიტომ მუშურ-გლეხური წითელი არმია თავიდანვე ჩაება გაფორებულ ბრძოლაში 14 კაპიტალისტური სახელმწიფოს თავით ფეხთამდე შეიარაღებული არმიებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის ძალების წინააღმდეგ.

საბჭოთა სახელმწიფოს და მისი არმიის არსებობის პირველი დღეებიდანვე მთელი მსოფლიოს მშრომელებმა მათში დაინახეს ძალა, რომელსაც უნარი შესწევდა დაპირისპირებოდა იმპერიალისტური რეაქციის შავბნელ ძალებს.

დიდი სამამულო ომი ჩვენი შეიარაღებული ძალების მკაცრი გამოცდა იყო. ომი ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, რომელმაც თავის სამსახურში ჩააყენა თითქმის მთელი ოკუპირებული ევროპის სამხედრო-ეკონომიური პოტენციალი, ყველაზე მძიმე იყო იმ ომებიდან, რომლებიც კი გადაუხდიათ ჩვენი სამშობლოს ხალხებს თავიანთი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე.

საბჭოთა არმიამ, რომელიც ეყრდნობოდა ხალხის მძლავრ მხარდაჭერას და მოქმედებდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებით, დაიწყო გათავხედებული მტრისათვის გამანადგურებელი დარტყმების მიყენება. მოსკოვთან და განსაკუთრებით სტალინგრადთან დიად ბრძოლებში ჩვენმა არმიამ მომაკვდინებელი დარტყმები მიაყენა ფაშისტ ვანდალებს. ამ შესანიშნავმა გამარჯვებებმა განამტკიცა ხალხისა და მისი არმიის სული, ჩაუნერგა მათ ფაშისტური გერმანიის განადგურების გარდუვალობის რწმენა. ამ გამარჯვებებმა განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის აღანთო ჰიტლერელების მიერ დამონებული ევროპის ხალხები და ახალი ძალა მისცა მათ ფაშიზმის ბატონობისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

ჩვენმა ხალხმა და მისმა მამაცმა შეიარაღებულმა ძალებმა ღირსეულად ჩააბარეს უაღრესად მკაცრი გამოცდა ფაშისტურ გერმანიასთან ომში. უდიდესი ღონისძიებებისა და მსხვერპლის ფასად მათ დაიცვეს სოციალისტური სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხები იხსნეს ფაშისტური მონობის საფრთხისაგან.

საბჭოთა არმიის ამ სწორუპოვარი გამარჯვებიდან თხუთმეტ წელზე მეტი გავიდა. საბჭოთა ადამიანების გულში და ჰიტლერელთა ბატონობისაგან განთავისუფლებული ხალხების გულში მუდამ დარჩება ნათელი მოგონება საბჭოთა მეომრებისა, რომლებმაც თავიანთი სახსნელი, თვით სიცოცხლეც მოახმარეს საკუთარი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, მთელი მსოფლიოს ხალხთა ბედნიერ მომავალს.

ამჟამად სულ სხვა მდგომარეობაა, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის წინ იყო. ღღეს ჩვენი ქვეყანა — სსრ კავშირი მარტო არ არის. სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად იქცა. სსრ კავშირი წარმატებით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას, ხოლო სოციალისტური ქვეყნები — სოციალიზმს. ამჟამად სოციალისტური ქვეყნები მძლავრ ზეიმოქმედებას ახდენენ მსოფლიო განვითარებაზე. წარმოიშვა რეალური შესაძლებლობანი, რომ თანამედროვეობის უმთავრესი პრობლემები გადაიჭრას ახლებურად, მშვიდობის, დემოკრატიის და სოციალიზმის ინტერესების სასარგებლოდ.

მსოფლიოში ძალთა თანაფარდობის შეცვლამ სოციალიზმის სასარგებლოდ შექმნა იმის პირობები, რომ გამოირიცხოს ომი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როცა ომების გაჩაღება დამოკიდებული იყო იმპერიალისტების ყარაღურ სურვილზე. ამჟამად არ არსებობს ომის ფატალური გარდუვალობა. მაგრამ ეს იმას როღი ნიშნავს, რომ იმპერიალისტური ქვეყნების არსებობის პირობებში მოსპობილია ომების წარმოშობის ნიადაგი. ამიტომაც სსრ კავშირი და სოციალისტური ქვეყნები მთელ თავიანთ ღონისძიებებს მიმართავენ მშვიდობის განმტკიცებისაკენ, სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპის განუხრელი განხორციელებისაკენ და დაჟინებით მოითხოვენ საყოველთაო და სრულ განიარაღებას.

ამავე დროს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მმართველი წრეები ჯიუტად ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას, ახორციელებენ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას, რომელიც უცხოა ხალხებისათვის და შეიცავს საშიშ შედეგებს.

ითვალისწინებენ რა ამას, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იღებენ ღონისძიებებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებისათვის. ამჟამად შექმნილია შეიარაღებული ძალების ახალი მთავარი სახეობა — რაკეტული ჯარები. მათ უნარი შესწევთ ატომური იარაღით მძლავრი დარტყმები მიაყენონ მტერს დედამიწის ყოველ წერტილში. რაკეტული იარაღით აღჭურვილი არიან ყველა სხვა სახეობათა შეიარაღებული ძალებიც.

ჩვენი დიადი ქვეყნის მშრომელები, მშვიდობიანი შრომის გამარჯვების რწმენით აღსავსენი, ახალი წარმატებებით შეხვდნენ საბჭოთა შეიარაღებული ძალების 43-ე წლისთავს. მათ კარგად იციან, რომ მამაცი საბჭოთა შეიარაღებული ძალები ფხიზლად დგანან კომუნიზმის მშენებლობის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის შესახებ 1961-1965 წ. წ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს საკითხი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის შესახებ 1961-1965 წლებში. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ წლებში გაძლიერდა სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის ტემპები, მნიშვნელოვნად გადიდდა რაოდენობა სასოფლო მოძმარაღებლისა, რომლებიც ელექტროენერგიას იღებენ ყველაზე საიმედო ენერგოწყაროებისაგან — სახელმწიფო ენერგოსისტემებისაგან, გადიდებული სიმძლავრის სამრეწველო და სასოფლო ელექტროსადგურებისაგან.

დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებენ რა სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის საქმეს, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უზრუნველყონ თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის, ელექტრომოძარაგების ყველაზე ეკონომიური წყაროების განსაზღვრა, არსებული ელექტროკსელების, სატრანსფორმატორო ქვესადგურებისა და სასოფლო ელექტროსადგურების გამოყენებისა და ახლების მშენებლობის გეგმების შემუშავება და დამტკიცება 1961-1965 წლებისათვის, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია განხორციელდეს:

სახელმწიფო ენერგოსისტემებისა და ცალკეული სამრეწველო ელექტროსადგურების მოქმედების რაიონებში — არსებულ და ახლად აგებულ ელექტროქსელებთან, აგრეთვე რკინიგზების ელექტროფიცირებული უბნების წვეის ქვესადგურებთან შეერთების გზით;

სახელმწიფო ენერგოსისტემების ელექტროქსელებისაგან, სამრეწველო ელექტროსადგურებისა და რკინიგზების ელექტროფიცირებული უბნების წვეის ქვესადგურებისაგან დაშორებულ რაიონებში — როგორც წესი, სასოფლო რაიონული და სარაიონთაშორისო დიზელიანი ელექტროსადგურებისა და გადიდებული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების და ცალკეულ შემთხვევებში სასოფლო რაიონული და სარაიონთაშორისო ორთქლტურბინიანი და გაზტურბინიანი ელექტროსადგურების მშენებლობის გზით;

მცირედ დასახლებულ რაიონებში, სადაც სასოფლო სარაიონთაშორისო და რაიონული ელექტროსადგურების აგება მიზანშეწონილია, — საკოლმეურნეობათაშორისო, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველაზე ეკონომიური ელექტროსადგურების მშენებლობის გზით.

საჭიროდ იქნა ცნობილი 1961-1965 წლებისათვის მნიშვნელოვნად გადიდდეს სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის განსახორციელებლად.

იმ მიზნით, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო მომძარაღები ელექტროენერგიით უზრუნველყონ სახელმწიფო ენერგოსისტემებმა, სამრეწველო, კომუნალურმა და სასოფლო ელექტროსადგურებმა, დამტკიცებული სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის ელექტრომიმოცემის ხაზების მშენებლობის გეგმა 1961-1965 წლებისათვის.

გზათა სამინისტრო და სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრო მოვალენი არიან რკინიგზების ან უბნებზე წვეის ქვესადგურების დაპროექტებისა და მშენებლობისას, რომელთა ელექტროფიკაცია ხორციელდება, გაითვალისწინონ, რომ ამ ქვესადგურებმა კომპლექსურად მოამარაგონ ელექტროენერგიით კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სარემონტო-ტექნიკური საადგურები, რაიონული ცენტრები და სხვა მოსახმარებები მოცემულ პუნქტსა და მომიჯნავე რაიონში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს დაავალეს შეიმუშაონ ღონისძიებანი ელექტროენერგიის დანერგვისათვის სასოფლო-საბეურნეო წარმოებაში. იმ ანგარიშით, რომ არაუგვიანეს 1965 წლისა ელექტროენერგიით მუშაობაზე გადაიყვანონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის ფერმების წყალმომარაგების მოწყობილობა, აბაწველი მანქანები, ცხრილის საპარსი აგრეგატები, საკვების დასაბაზებელი მანქანები, მარცვლეულის საწმენდი და სახმობი მანქანები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პირველადი დამუშავების მანქანები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახელოსნოთა მოწყობილობა, აგრეთვე სხვა სტაციონარული მანქანები და მოწყობილობა.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა მისდაგი უშუალოდ დაკვემდებარებული ინსტიტუტების 1961-1965 წლების გეგმებში გაითვალისწინოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გაფართოება სასოფლო-საბეურნეო წარმოებაში ელექტროენერგიის გამოყენების დარგში შემდგომი ტექნიკური პროგრესის მისაღწევად.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს, სომხეთის სსრ ნინისტრთა საბჭოსა და ელექტროსადგურთა მშენებლობის სამინისტროს დაევალათ უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის საჭირო ახალ სახეობათა ელექტრომოწყობილობის, ელექტროაპარატურის, მასალებისა და კაბელის ნაკეთობათა საცდელი ნიმუშების შემუშავება, გაკეთება და სერიული წარმოების ორგანიზაცია.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და მოკავშირე რესპუბლიკების ნინისტრთა საბჭოებს დაევალათ გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებში იმ მასალების, მოწყობილობისა და სატრანსპორტო საშუალებათა გამოყოფა, რომლებიც საჭიროა სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის სამუშაოთა შესასრულებლად.

სრულიად საკავშირო გაერთიანება „სოიუზსელხოზტეხნიკა“ და ელექტროსადგურთა მშენებლობის სამინისტრო მოვალენი არიან შეიმუშაონ ყველაზე ეკონომიური სასოფლო ელექტროსადგურებისა და ქვესადგურების მშენებლობის ტიპიური პროექტები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი სასოფლო ელექტროსადგურებისა და ელექტროდანადგარების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლოატაციის გასაუმჯობესებლად, განამტკიცონ კადრებით რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან სასოფლო ელექტროსადგურებისა და ელექტროდანადგარების მშენებლობასა და ექსპლოატაციას, აღჭურვონ ეს ორგანიზაციები სამშენებლო მექანიზმებითა და სატრანსპორტო საშუალებებით, აგრეთვე დაევალათ უზრუნველყონ სოფლის ენერგეტიკის ელექტროფიკაციის მასობრივ პროფესიათა კადრების მომზადება სოფლის საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებში, რომლებშიც შემოიტანოთ საწარმოო სწავლება. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებსა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომსაბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სრულიად საკავშირო გაერთიანება „სოიუზსელხოზტეხნიკას“ და ელექტროსადგურთა მშენებლობის სამინისტროს დაევალათ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით შეისწავლონ საკითხი სასოფლო ელექტროფიკაციის ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინონ წინადადებანი.

კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სრულიად საკავშირო გაერთიანება „სოიუზსელხოზტეხნიკას“ და ელექტროსადგურთა მშენებლობის სამინისტროს დაევალათ უზრუნველყონ სამუშაოთა ორგანიზაცია სასოფლო ელექტროსადგურების, ქვესადგურებისა და ელექტროგადაცემის ხაზების მშენებლობისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ელექტროენერგიის ფართოდ დანერგვისათვის ოა დაწესონ სისტემატური კონტროლი ნიღბელი დადგენილების შესრულებისადმი.

გუშინ კრემლის დიდ სასახლეში

მოსკოვი, 22 თებერვალი. (საკდესი). ღღეს კრემლის დიდ სასახლეში გრძელდება რუსეთის სფსრ ცენტრის ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიკოიანი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ე. შვერნიკი, გ. ი. ვორონოვი, ვ. ვ. გრიშინი.**

განიხილავენ რუსეთის ფედერაციის ცენტრის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ღონისძიებებს.

ღღის სხდომაზე პირველი გამოვიდა გორკის ოლქის პოჩინკის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი მხვნელის“ მერგოლური ე. ა. კულემინა.

მოძმე სომხეთი 40 წლისთავს მაისში იზეიმებს

ერევანი, 21 თებერვალი. (საკდესი). სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტეს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და სომხეთის კომუნისტური პარტიის შექმნისადმი მიძღვნილი დღესასწაული აღნიშნონ მიმდინარე წლის 6-7 მაისს.

საპატიო ჯილდოების გადაცემა

22 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები გადაეცათ მოწინავე ახალგაზრდა მშენებლებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. ს. ძოწენიძემ საპატიო სიგელები გადასცა ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** მეთაურობით, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ მშენებლობისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს ჰიდროენერგომშენის, მთავართბილმშენის, ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის, გვირაბმშენის ტრესტების დავალებით თათბირი გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შევარდნაძემ.**

თათბირის განსახილველად შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. ახალგაზრდა მშენებელთა ამოცანები მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა მშენებლობის ტემპის დაჩქარებაში შეიდწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

2. ახალგაზრდა მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეთა არჩევნები.

ღღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **თ. ნ. მენთეშაშვილმა.**

კამათში გამოვიდნენ: „ჭიათურმშენის“ სამშენებლო სამმართველოს კომკავშირულ-ახალგაზრდული კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი **თ. ვაშაძე,** კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ს. ხაბეიშვილი,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრ კავშირის არქიტექტორის და მშენებლობის აკადემიის ნამდვილი წევრი **კ. ზავრიევი,** კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ო. წვერავა,** ტყიბულის კომკავშირული შახტის მშენებლობის უბნის უფროსი **ტ. ჭირაქაძე,** პოეტი **ოსეგ ნონეშვილი,** „მეტალურგნაგალინმონტაჟის“ ტრესტის ზეინკალი-შემონტაჟე **ი. ალექსინსკი** (ქ. რუსთავი), საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი **ს. ლორთქიფანიძე,** საქართველოს შახტმშენის ტყვარჩელის სამშენებლო სამმართველოს გვირაბგამყვანი **შ. დოჩია,** სტალინირის სამშენებლო სამმართველოს კალატოზი **ზ. ჯიოევი,** სიონმშენის კომკავშირის კომიტეტის მდივანი **ვ. დორეული,** ქალაქ ბათუმის № 5 ტრესტის მეორე სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი **ს. ჭანმაძე,** კომკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ი. კობახიძე.**

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **პ. ვ. კოვანოვმა.**

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა საქართველოს ყველა ახალგაზრდა მშენებლისადმი.

შემდეგ გაიმართა ახალგაზრდა მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირის დელეგატთა არჩევნები.

ამით საქართველოს ახალგაზრდა მშენებლთა პირველმა რესპუბლიკურმა თათბირმა დაამთავრა მუშაობა. (საკდესი).

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1961 წ. 23 თებერვალი № 31 ქ. მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

ღღეს საბჭოთა ხალხი და მისი მეომრები ღღესასწაულობენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 43-ე წლისთავს.

ეს საყოველთაო-სახალხო ღღესასწაული იმართება დიდმნიშვნელოვან დროს, როცა საბჭოთა კავშირის მშრომელები, რომლებმაც წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს შვიდწლედის პირველი ორი წლის სახელმწიფო გეგმა, თავდადებით იბრძვიან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის. მთელ ჩვენს ქვეყანაში გაშლილია საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება XXII ყრილობის აღსანიშნავად. თავიანთი მშობლიური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული საბჭოთა ადამიანები ყრილობას ეგებებიან დიადი მომავლის მტკიცე რწმენით, ურყევად აქვთ გადაწყვეტილი მოიპოვონ ახალი თვალსაჩინო გამარჯვებანი კომუნიზმის მშენებლობაში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, გამოთქვამენ რა თავიანთი ხალხის, მთელი პროგრესული კაცობრიობის სანუკვარ ინტერესებსა და მისწრაფებებს, მტკიცედ იბრძვიან თანამედროვეობის ყველაზე მწვავე პრობლემის გადაჭრისათვის — მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ითვალისწინებენ რა თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას, აგრესიული იმპერიალისტური სახელმწიფოების სამხედრო თავდასხმის საფრთხის არსებობას, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ამავე დროს ყოველ ღონეს ხმარობენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, იმისათვის, რომ შეიარაღებული ძალები იყოლიონ მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების დონეზე.

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო, ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო, თადარიგში მყოფო და გადამდგარო სამხედრო მოსამსახურეებო! გილოცავთ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 43-ე წლისთავს!

ვუსურვებ შეიარაღებული ძალების მთელ პირად შემადგენლობას შემდგომ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, ახალი ტექნიკისა და იარაღის დაუფლებაში, შეგნებული სამხედრო დისციპლინის განმტკიცებაში, ჯარების სიფხიზლისა და საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებაში!

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 43-ე წლისთავის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

ღღეს, 23 თებერვალს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებსა და გმირ ქალაქებში — ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — კომუნისტური მშენებლობის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. მალინოვსკი.

დეპუტატობის კანდიდატები

დარაზმულობისა და ერთსულოვნების ვითარებაში ასახელებენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს

22 თებერვალს თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში გაიმართა საწარმოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კრება, რომელიც მიეძღვნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას.

კრება გახსნა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ **გ. დაშნელმა.**

ტრიბუნაზეა საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივანი **ს. თოხაძე.** მან აღნიშნა, რომ არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს მასების უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი, XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, იმისათვის, რომ ჩვენი სამშობლოს სადიდებლად ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნონ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავი.

სიტყვა მიეცა ქარხნის მთავარ ინჟინერს ი. გრძელიშვილს, რომელმაც ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ჩვენი ხალხი ადგილობრივ საბჭოებში გზავნის თავის საუკეთესო წარმომადგენლებს, იმათ, ვინც გვიჩვენებს სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი უანგარო სამსახურის მაგალითს. ორატორმა შეიტანა წინადადება თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ პარტიისა და ხალხის ერთგული შვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძე.**

ამხ. გრძელიშვილმა ილაპარაკა ვ. პ. მჟავანაძის ცხოვრების გზაზე, პარტიულ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაზე. მან რწმენა გამოთქვა, რომ ამომრჩევლები ერთსულოვნად, როგორც ერთი კაცი, ხმას მისცემენ კომუნისტებისა და უპარტიოების უერთგული ბლოკის ღირსეულ წარმომადგენელს ამხ. ვ. პ. მჟავანაძეს.

ვ. პ. მჟავანაძის კანდიდატურას მხურვალედ დაუჭირა ჭბარი მოწინავე ზეინკალმა **გ. დათუაშვილმა.**

თავის ჭბრივ ამხ. დათუაშვილმა წინადადება შეიტანა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ ზეინკალი კომუნისტური შრომის დამკვრელი **ნინო სიმონის ასული აბიაშვილი.**

ელექტრომონტიორმა **დ. სტეფლიამ** წინადადება წამოაყენა დასახელონ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს კომპარტიის ლენინის რაიკომის მეორე მდივანი **დავით გიორგის-ძე აბუთიძე.**

— წინადადება შემომაქვს, — თქვა ენერგოძალური საამქროს ოსტატმა **ლ. ბაღამფილამ,** — საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ პერსონალური პენსიონერი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1917 წლიდან, წარსულში ჩვენი საუკეთესო ელექტრიკოსი **ზაქარია ალექსის-ძე ტეგეტაშვილი.** მის კანდიდატურას აქტიურად დაუჭირა მხარი ყველა დამსწრემ.

სავაგონო-საავტოსავალო საამქროს პარტიიურის მდივანმა **მ. გეტაშვილმა** საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი **სეფრაქ თორგომის-ძე ტიგრანიანი,** რომელიც ორატორმა დაახასიათა როგორც ერთ-ერთი საუკეთესო წარმოების მუშაკი, რომელიც უჩვენებს ნაგალითს შრომასა და საზოგადოებრივ მუშაობაში.

კრებაზე თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად დასახელეს პარტიული კომიტეტის მდივანი **სერგაიონ ოსიფის-ძე თოხაძე,** ხარატი **კონსტანტინე ეფიმის-ძე ტიმოფეევი,** ძველი მუშა პენსიონერი **დავით დიმიტრის-ძე ამირანაშვილი,** ენერგოძალური საამქროს უფროსი **ნიკოლოზ ქრისტეფორეს-ძე მიქაშავიძე.**

* * *

ხალხმრავალი იყო ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის ელმავლაშენებელი ქარხნის წარმოების მუშაკთა წინასაარჩევნო კრება.

წინასაარჩევნო კრება გახსნა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ **დ. ბაკურაძემ.**

ტრიბუნაზეა ქარხნის მთავარი ინჟინერი **ა. მასხარაშვილი.** მან თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ამბ. გ. ა. გეგეშიძე.**

ამხ. გ. გეგეშიძის კანდიდატურას მხარი დაუჭირა ელექტროსამანქანო საამქროს უფროსმა ვ. ჩხიკვაძემ.

ამხ. ვ. ჩხიკვაძემ აგრეთვე წინადადება წამოაყენა, რომ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელონ მოწინავე მეანქანე **ვ. ხ. ვარლამოვი.**

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ორატორებმა დასახელეს მშობლიური საწარმოს საუკეთესო ადამიანები, დაახასიათეს მათი შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობა.

კრებამ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელა აგრეთვე ქარხნის დირექტორი **ი. ი. ზერეკიძე,** მოწინავე ზეინკალი, საავარატო საამ

შეკვეთებმა

ჩვენში, პსკოვის ოლქის პუსტოშკის რაიონში, არის ტყიანი ადგილი, რომელსაც აქვს უცნაური სახელწოდება „კოზი ბროდ“ — თხის ფონი. იქნებ მართლაც აქ გადადიოდნენ თხები მდინარე ველიკაიას, ან შესაძლოა ეს ფანტაზიაა ტყეში ჩაკარგული წისქვილის ლირიკულად განწყობილი მუშისა. მინდა სხვა რამეს გავუსვა ხაზი. აქ ყველაფერი კავკასიას მოგაგონებთ: თითქმის ყველგან მარადმწვანე ფიქვით შემოსილი ფრიალო ნაპირები, ვიწრო ველაპოტში მოქცეული მდინარე ველიკაია და, ბოლოს, ულრანი ტყე.

მაგრამ არა მარტო ბუნებით ენთუსიაზმება შორეულ საქართველოს „კოზი ბროდი“, ისინი მონათესავე არიან იმითაც, რომ აქ მიწა მორწყულია რუსი და ქართველი ძმების, დიდ სამამულო ომში საბჭოთა მიწა-წყლის დამცველების წმიდა სისხლით. ამ ადგილზე ტრაგიკულად დაიღუბნენ მზიური საქართველოს მამაცი შვილი ალექსანდრე ანთიმოზის-ძე ჭელიძე და მისი რუსი ძმები — გვარდიელები დ. ი. კოსტარევი და ნ. ი. ვორობიოვი.

დღემდე დაცულია უბრალო ჯარისკაცული ეპიტაფიები, ხიშტის წვერით ამოკვეთილი დიურალის ფირფიტაზე. თანაპოლკელებს ამისათვის უპოვნიათ დრო დაბაბული ბრძოლების იმ დღეებშიც კი.

„სამარადისო იყოს ხსოვნა ძვირფასი მეგობრისა და მამაცი მეთაურისა, სტალინგრადის დამცველის, გვარდიის ლეიტენანტ ალექსანდრე ანთიმოზის-ძე ჭელიძისა, რომელიც დაიღუპა გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში 1944 წლის 10 მარტს“.

რამდენი სულელური სითბოა ამ უბრალო სიტყვებში! რამდენი მწუხარება და ნაღველია მახლობელი ადამიანის დაკარგვის გამო. ჩანს, ძვირფასი იყო ალექსანდრე თანაპოლკელებისათვის, რომლებთან ერთადაც მან დიდი საბრძოლო გზა განვლო.

ჩვენ მივაგენით უფროს ტექნიკოსს — — ლეიტენანტ ეფიმ მიხეილის-ძე კოზაკოვს, იმ ავტომასეულის მეთაურს, რომელშიც ლეიტენანტი ჭელიძე მსახურობდა, აგრეთვე მის ამხანაგს თადარიგის ლეიტენანტს ათანასე ივანეს-ძე ნარეტინს. სამწუხაროდ, მათ ალექსანდრესთან სულ ერთად როდი უმსახურიათ, მაგრამ რაც მათ იციან, ისიც საკმარისია იმისათვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას ჭელიძეზე, როგორც მებრძოლ მეთაურზე, ერთგულ ამხანაგზე, სამშობლოს გმირ დამცველზე.

ვის არ ახსოვს ორმოცდაერთი წლის სუსხიანი გარდამტეხი ზამთარი. მოსკოვთან მტრის განადგურების სასახარელო ცნობებმა ყველა საბჭოთა ადამიანი გააბარა. ამ გამარჯვებით აღფრთოვანებული მეომრები 154-ე ცალკე საზღვაო ბრიგადისა, რომელშიც ლეიტენანტი ჭელიძე მსახურობდა, ახალი ძალით ეკვეთნენ სტარაია რუსას რაიონში გარშემორტყმული გერმანელთა მე-16 არმიის გამაგრებულ პოზიციებს. რკალმა მომწყვდეული ჰიტლერელები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ, მათ გამოთოფილი ჰქონდათ თვითეული მეტრი გზა, განუწყვეტლივ ბომბავდნენ ბრიგადის ნაწილების განლაგებას. ამ პირობებში ლეიტენანტ ჭელიძის ოცეულს დაეკისრა ამოცანა უზრუნველყო ბრიგადის ნაწილების შეუფერხებელი მომარაგება ყუმბარებით, სურსათითა და სხვა სამხედრო ქონებით. სარდლობამ იცოდა, რომ ლეიტენანტი ჭელიძე თავს გაართმევდა ამ ამოცანას. უნაგრი და სიმტკიცე, მოსაზრებულობა და გამბედაობა მას ყოველგვარ გარემოებაში ეყოფოდა. ახალგაზრდა მეთაურის ოცეული ერთ-ერთი შეკავშირებული საბრძოლო კოლექტივი იყო.

ალექსანდრემაც კვლავ გამოიჩინა თავი. იგი ყოველთვის წინ იყო და ამავე დროს ახერხებდა ავტომანქანების შეკეთების მოწყობას გზაშივე. რა მძიმე მდგომარეობაც უნდა შექმნილიყო, ყოველთვის პოულობდა გამოსავალს, მამაცობის თავისი მაგალითით აღაფრთოვანებდა ოცეულის მებრძოლებს. მოწინავე ხაზი დროზე იღებდა ყუმბარებსა და ვაზნებს, სურსათსა და მედიკამენტებს.

მებრძოლებს ახალი განსაცდელი მოელოდათ. ორმოცდამეორე წლის დამლევს ბრიგადა სტალინგრადთან გადაიყვანეს. ფაშისტ ავაზაკთა 36 რჩეული დივიზია მიისწრაფოდა ვოლგის ქალაქისაკენ, რომლის სახელიც მოედო მთელ მსოფლიოს, მამაცობისა და გმირობის სიმბოლო გახდა. საომარი მასალის მიწოდება საჭირო ხდებოდა არა მარტო ღამით, არამედ დღისითაც, როცა ცა სავსე იყო მტრის თვითმფრინავებით. ფაშისტი მფრინავები, რომლებსაც კიდევ არა ჰქონდათ მიღებული ჯეროვანი გაკვეთილი, პირდაპირ თვითეულ მანქანაზე ნადირობდნენ. მაგრამ ლეიტენანტი ჭელიძე ისეთ ოსტატურ მანევრებს მიმართავდა, ისეთი სამხედრო ოსტატობა გამოიჩინა, რომ თითქმის არა ჰქონია პირადი შეშადგენლობისა და ტექნიკის დაკარგები.

გერმანელთა სტალინგრადის დაჯგუფების განადგურებაში მონაწილეობისათვის ბრიგადას მიენიჭა გვარდიული ბრიგადის სახელწოდება. გვარდიელი გახდა ალექსანდრე ანთიმოზის-ძე ჭელიძეც.

და აი 1944 წლის თებერვალში მეომრის ბედმა ალექსანდრე შორეულ პსკოვის ოლქში გადატყორცნა. წინა ხაზზე ყუმბარების გადატანისას ავტომანქანების კოლონას, რომელიც ჭელიძეს მიჰყავდა, თავს დაესხა მტრის თვითმფრინავების ჯგუფი. მტრის ბომბი მოხვდა იმ მანქანას, სადაც მეთაური იყო. ალექსანდრე მძიმედ დაიჭრა. მაგრამ ამ წუთშიც, როცა სიკვდილი მოახლოებული იყო, მამაც მეომარს თავისი მოვალეობა ახსოვდა. მან განკარგულება გასცა ყუმბარები გადაერჩინათ.

კატასტროფის ადგილის ახლოს მდინარე ველიკაიას ნაპირზე ჰოსპიტალი იყო. მეომრებმა თანამოსაგრეებმა, მალე მიიყვანეს იქ მეთაური. აი რას წერდა მაშინ თავის წერილში მისი უკანასკნელი წუთების შესახებ სამედიცინო სამსახურის გვარდიის უფროსი ლეიტენანტი გალინა კისელი:

„დიდი ხანია ომში ვარ, ბევრი უბედურება მინახავს, მეომართა ბევრი ქვნესა მსმენია. ალექსანდრე კი, თუმცა თითქმის გრძნობადაკარგული იყო, არ კვნესოდა. მისულებული ხმით გვთხოვა: „მომეციათ ქაღალდი, რომ მშობლებს წერილი მივწერო“...

მაგრამ მისი დღეები დათვლილი იყო. სამუდამოდ გვტოვებდა დიდი ნებისყოფის, დიდი სულიერი ძალის ადამიანი.

„უკვე მეზუთე დღეა ვერა და ვერ მომიწერია თქვენთვის მძიმე ამბავი ჩვენი ძვირფასი ალექსანდრე ჭელიძის შესახებ, — აუწყებდა მშობლებს კაპიტანი ჩერედნიჩენკო. — იგი ყველას უყვარდა ნაწილში. საუცხოო ამხანაგი, უანგარო მეგობარი, მამაცი მეთაური და უაღრესად თავმდაბალი ადამიანი იყო. სიტყვები არ მყოფნის, რომ აგიწეროთ ის გრძნობები, რომლებმაც ჩვენ მოგვიცვა, როცა შევიტყეთ, რომ ასე უდროოდ შეწყდა მისი სიცოცხლე. ჩვენი დაუვიწყარი მეგობრის საფლავზე ფიცი დავდეთ შური ვიძიოთ წყეულ მტერზე“...

მათ შეასრულეს თავიანთი სიტყვა. მალე ერთი ფაშისტი ჯარისკაციც აღარ დარჩენილა პსკოვის ოლქში.

...ახლომახლო სოფლების კოლმეურნენი, პუსტოშკის რაიონის ყველა მშრომელნი წმიდად ინახავენ ჯარისკაცულ აღთქმას, უფრთხილდებიან ჩვენი სამშობლოს დამცველთა ხსოვნას. მეზღვაურთა საფლავი მუდამ მორთული იყო, მას მუდამ ამკობდა ცოცხალი ყვავილები.

ორი წლის წინათ, როცა კოპილკოვოს წყალსაცავის წყლები ზედ მიადგა „კოზი ბროდს“, მეზღვაურთა ნეშტი სოფელ ალუშკოვოში ძმათა სასაფლაოზე გადაასვენეს.

და აი თექვსმეტი წლის შემდეგ ჩვენს რაიონში ჩამოვიდნენ მეთაურის ახლო ნათესავები. მათ ჩამოიტანეს ალექსანდრეს ფოტოსურათები. შავგრემანი ღია სახე, გამჭრიახი გამოხედვა სქელ შავ წარბებს ქვეშიდან, დამახასიათებელი ქართული ნაკვთები — ყოველივე იმას მეტყველებს, რომ ეს ძლიერი ნებისყოფისა და დიდი გულისხმიერების ადამიანი იყო.

მიტინგზე ხალხი არავის არ მოუწვევია, თვითონ მოვიდნენ. ან კი როგორ არ მოვიდოდნენ, *რომ თითქმის არც ერთ ოჯახს არ „შორიები“ ასეთივე უბედურება, რომ მეზღვაურ ჭელიძის საფლავი ყველასათვის ისევე ძვირფასი გახდა, როგორც თავიანთი შვილების, ძმების, ქმრების საფლავები.

— ეს ადგილები ჩვენი შვილისათვის ისეთივე სამშობლოა, როგორც საქართველო, — თქვა სახელდახელო მიტინგზე ალექსანდრეს მამამ — ანთიმოზ იასონის-ძე ჭელიძემ.

ალექსანდრე ჭელიძის სახელი მიეკუთვნა ალუშკოვოს შვიდწლიანი სკოლის პიონერთა რაზმს.

ეს სახელი უკვდავი გახდა.

ა. სავიგინი,
გაზეთ „კოლხოზნოე ზნამიას“ რედაქტორი.
ქ. პუსტოშკა, პსკოვის ოლქი.

* * *

სურათზე: ა. ჭელიძე.

მოსკოვი. რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმსა და საბჭოთა არმიის ცენტრალურ მუზეუმში დაცული: რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის წლების ძვირფასი რელიქვიები. საგამოფენო დარბაზები მნახველს მოუთხრობენ საბჭოთა არმიის გმირულ ისტორიაზე. **სურათზე:** საბჭოთა მებრძოლის ძველი-მონუმენტი.

სახელოვანი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

22 თებერვალს თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა თბილისის გარნიზონის სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 43-ე წლისთავს.

საზეიმო სხდომა გახსნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. ჭელაძემ.**

მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა და პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა **თ. სტეპჩენკომ.**

მამაცმა საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებიც დიდმა ლენინმა შექმნა, და რომელთაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, თქვა მომხსენებელმა, სახელოვანი გზა განვლეს და ახლა თავიანთ 43-ე წლისთავს ახალი წარმატებებით ხვდებიან საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში. ჩვენს არმიას, ავიაციასა და ფლოტს შესწევს ძალა შეასრულოს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ყოველგვარი ამოცანა და ფიზიზლად დაიცვას საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომა.

დასასრულ საზეიმო სხდომის მონაწილეთათვის გაიმართა დიდი კონცერტი. (საქდესი).

თავმჯდომარემ „გუდა-ნაბადი აიკრა“

აგარა!.. არის ასეთი სოფელი ახალციხის რაიონში. აქ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის იმაზე ნაკლები პირობები როდი აქვთ, ვიდრე რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებში, მაგრამ შესაძლებლობა ერთია, მისი გამოყენება კი — მეორე. იმის გამო, რომ აგარელი კოლმეურნეები სუსტად იყენებენ არსებულ რეზერვებს, მათი საზოგადოებრივი მეურნეობა სამარცხვინოდ ჩამორჩება. უფრო მეტიც. შარშან არტელს წინა წლებთან შედარებით უარესი მაჩვენებლები ჰქონდა.

პარტია გვასწავლის, რომ თავმჯდომარე საკოლმეურნეო წარმოების ცენტრალური ფიგურაა. აქიმომ საუკეთესო კადრებით კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის ცოტა მუშაობა როდი გასწია პარტიის ახალციხის რაიონულმა კომიტეტმა. ამან თავისი საუცხოო შედეგები სულ მალე გამოიღო. მაგრამ სამწუხაროდ, არის ისეთი შემთხვევაც, როცა რაიონული ხელმძღვანელი ორგანოები კოლმეურნეობის თავმჯდომარეებად რეკომენდაციას აძლევენ ამ საქმისათვის სუსტ, შეუფერებელ პირებს.

შარშან აგარელებმა თავიანთი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ რაიკომის რეკომენდაციით აირჩიეს პედაგოგი დ. ჯანელიძე. მაგრამ ვერც ახალმა თავმჯდომარემ გაართვა თავი მუშაობას. წელიწადი ისე გავიდა, რომ, მას, როგორც იტყვიან, ხელი არ გაუნძრევია. სამაგიეროდ განახორციელა თავისი დიდი ხნის ოცნება და ზესტაფონში მშვენიერი ორსართულიანი სახლი „წამოიღო“.

შარშან აგარის კოლმეურნეობაში შრომის მოუწესრიგებლობისა და შრომის დისციპლინის მოშლის შედეგად უხეშად დაირღვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დამუშავების აგროტექნიკა. ამის შედეგად შეუსრულებელი დარჩა კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლიანობის გეგმები. ჰექტარზე საშუალოდ 19,7 ცენტნერი ხილი მოიყვანეს. უკეთესი მდგომარეობა არც მეცხოველეობაშია. შეუსრულებელია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის, ღორის სულადობის დავალებანი და მატყლის მიღების გეგმები. მოუვლელობის გამო დაიხოცა 18 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 20 ღორი, 37 თხა და ცხვარი.

ყოველივე ამის გამო კოლმეურნეობის საანგარიშო-სალარჩევნო კრებაზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა, სასჯელიმო განწყობილება არ იგრძნობოდა. თავმჯდომარემ „შორიდან დაიწყო“. შეიდგვერდიანი მოხსენებიდან ოთხი გვერდი „ზოგად ნაწილს“ დაუთმო, დანარჩენ სამ გვერდზე სახელდახელოდ დაწერილ ანგარიშში კი საკოლმეურნეო ცხოვრების სრული უცოდინარობა გამოამჟღავნა.

— გასულ წელს, — თქვა მან, — ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე ვაწარმოეთ 154,8 ცენტნერი ხორცი და. 408 ცენტნერი რძე. პირნათლად შევასრულეთ სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის დავალებანი.

— სიცრუეა! —

წამოიძახეს ადგილებიდან. — შე კაი კაცო, წლიურ ანგარიშს მაინც ვერ გადახედე?

საქმეში კოლმეურნეობის ბუხჰალტერი ავთანდილ დეკანოიძე ჩაერია.

— მოხსენებაში შეცდომა არის „გაპარული“, — მიმართა მან კრებას. — 154,8 ცენტნერი ხორცი და 408 ცენტნერი რძე მთლიანად ვაწარმოეთ და არა 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე.

მაგრამ გაისმა ხმა ადგილიდან: ეს ხომ გაცილებით იმაზე ნაკლებია, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა?

სწორია,—დასძინა ბუხჰალტერმა, — სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდკის გეგმებიც შეუსრულებელი დაგვრჩა.

თუმცა თავმჯდომარეს „გამორჩა“, მაგრამ ხალხმა გაარკვია. თურმე სახელმწიფოსათვის მიყიდული 198 ცენტნერი ხორციდან 103,6 ცენტნერი მოსახლეობაში და ბაზარზე შეძენილ პირუტყვზე მოდის.

ტყუილად როდი თქვეს კოლმეურნეებმა, ვალებში ვიხრჩობით, წელში გერ გავმართულვართო. მაშინ, როცა აქ შარშან წლიური ფულადი შემოსავალი მხოლოდ 122 ათასი მანეთი იყო, დებიტორულმა დავალიანებამ 38,090 მანეთი, კრედიტორულმა დავალიანებამ კი 229 ათასი მანეთი შეადგინა. რა თქმა უნდა, ეს წერილობითი გამოტანა თავმჯდომარეს.

სამაგიეროდ კრება აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. კოლმეურნეებმა მკაცრად ამხილეს გამგეობის საქმიანობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

— გამგეობა, პირადად თავმჯდომარე, — განაცხადა კოლმეურნე გ. დეკანოიძემ,—სისტემურად ეს იყვნენ დაინტერესებული კოლმეურნეობის მეიდით. მაშინ, როცა მოსავლის აღების გაცხოველებული დღეები იყო, ჩვენი თავმჯდომარე კაკლის ჩრდილქვეშ ისვენებდა, ანდა კოლმეურნეობის მანქანით ზესტაფონში საკუთარი სახლის მშენებლობაზე ხე-ტყეს ეზიდებოდა.

—შრომის დისციპლინა ხომ მთლიანად მოიშალა!—დასძინა მემინდვრეობის № 2 ბრიგადის ხელმძღვანელმა ს. ინდუაშვილმა.—მაგალითად, ჩემს ბრიგადაში 50 მუშახელია, აქედან ყოველდღიურად სამუშაოზე 10-11 კაცი თუ გამოდის. გამგეობა პასუხს არა სთხოვს იმათ, ვინც შრომას თავს არიდებს.

კოლმეურნეებმა მოითხოვეს თავმჯდომარის გადარჩევა.

—მეც ეს მინდა,—განაცხადა დ. ჯანელიძემ.—თავიდანვე ვამბობდი, რომ კოლმეურნეობის გაძღოლას ვერ შევძლებდი. ამას წინათ განცხადებითაც მივმართე რაიკომს.

სიტყვას იღებს რაიკომის წარმომადგენელი.

— ჩვენ გვწამს,—თქვა მან, — რომ ამხ. ჯანელიძემ ვერ გაამართლა იმედი. მაგრამ ამჟამად ის თავმჯდომარედ უნდა დარჩეს, სანამ სხვა მუშაკის შერჩევის, ან ამ კოლმეურნეობის რომელიმე მეზობელ არტელთან შეერთების საკითხი არ გადაწყდება...

კოლმეურნეები კვლავ დათმობაზე წავიდნენ. მაგრამ რა შედეგი მოჰყვება ამას? თავმჯდომარეს წასასვლელად „გუდა-ნაბადი უკვე აკრული აქვს“, კოლმეურნეები კი ახალი ხელმძღვანელის მოლოდინში არიან. საქმეზე არავინ ზრუნავს...

კოლმეურნეობებში სამუშაოდ უნდა გავაგზავნოთ არა უუნარო ადამიანები, ვაი-მუშაკები, არამედ ისეთი ორგანიზატორები, რომლებსაც სათანადო ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება აქვთ და რაც მთავარია, სურვილი — იმუშაონ ბეჯითად, თავდადებით, მთელი ენერგიის გამოყენებით.

ჯ. ხვადაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გაზაფხული კარს გვიკაკუნებს...

„ობიექტური“ მიზეზები თუ უპასუხისმგებლობა?

მზე აცხუნებს მინდვრებს, სულ უფრო მძლავრად იგრძნობა მოახლოებული გაზაფხულის ძალა. მალე აგუგუნდება ტრაქტორები და გაჩაღდება საგაზაფხულო სამუშაოები.

— მზად ხართ თუ არა საგაზაფხულო თესვისათვის? შევეკითხეთ ზნაურის რაიონის სოფელ ბეყმარის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს იასონ ჩეხოევს.

თავმჯდომარემ უხერხულობა იგრძნო და ჩაფიქრებულმა განაცხადა:

— ცოტა რამ გვაკაკვეთეთ გაზაფხულისათვის, მინდორი ნაწილობრივ შოვხანით მზრალად, ზოგიერთი კულტურის თესლებიც გვაქვს.

მინდვრად გავედით და... რა ენახეთ? კოლმეურნეობის მოუვლელი პირუტყვი, კანტორის ახლოს ნაწილებჩამოცლილი ტრაქტორი და დამტვრეული სათესი მანქანა.

ჩვენთან მოვიდა პარტორგანიზაციის მდივანი ეთიმ სანაკოევი.

— რა ვქნათ, ნაწილები ვერ ვიშოვნეთ, — განაცხადა მან. მაგრამ როცა გუთანსა და სათესზე მივუთითეთ, რომელთა შეკეთებისთვისაც ნაწილები საჭირო არ იყო, მან სხვა „ობიექტური“ მიზეზების ძებნა დაიწყო. ჩვენ კი მივხვდით, რომ საქმე გვაქვს უპასუხისმგებლობასა და თვითდინებასთან.

ბეყმარის კოლმეურნეობა ამ მხრივ გამონაკლისი როდია. ტრაქტორები შეუკეთებელია დღემდე ამავე რაიონის სოფლების ვახტანის, ველების, ქვათეთრის, ძველთესა და სხვა კოლმეურნეობებშიც, სწორედ იმ სოფლებში, სადაც უმთავრესად სიმინდი და სხვა მარცვლეული კულტურები ითესება. აქვე უნდა ითქვას, რომ კვადრატულ-ბუდობრივად სიმინდს ძირითადად ამ კოლმეურნეობებში თესავენ. სათესი მანქანები კი შეუკეთებელია. ძველთესის კოლმეურნეობის ეზოში ახლაც ტალახში ვდგია კვადრატულ-ბუდობრივად სათესი ერთი მანქანა.

ზნაურის რაიონში 34 შესაკეთებელი ტრაქტორიდან შეკეთებულია მხოლოდ შვიდი. სარემონტო-ტექნიკური სადგურის სახელოსნოში მეორე თვეა რამდენიმე შესაკეთებელი ტრაქტორი დგას, მაგრამ ვერა და ვერ იქნა მათი ამუშავება.

იქნებ სამხრეთ ოსეთის სხვა რაიონებში საქმე უკეთესად არის?

სამწუხაროდ ოლქის ზოგიერთ რაიონშიც ამ მხრივ სახარბიელოს ვერაფერს შეამჩნევთ. გაზაფხული მოახლოვდა, ტრაქტორების გუგუნი კი კვლავ არ ისმის. მაგალითად, ლენინგორის რაიონში 20 ტრაქტორიდან, რომლებიც ამ ზამთარს უნდა შეეკეთებინათ, შეკეთებულია მხოლოდ სამი, ტრაქტორების რემონტი ნელი ტემპით მიმდინარეობს იხეთ მოწინავე კოლმეურნეობაშიც კი როგორიც წიხაგრის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაა.

დიდი სახნავ-სათესი ფართობები როდი აქვს ჯავის რაიონს. რაიონის კოლმეურნეობებში შესაკეთებლად გადაცემული 9 ტრაქტორიდან მხოლოდ ერთი ამუშავდა. ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს ჯავაში მისაშველი ინვენტარის რემონტიც.

რაიონებსა და კოლმეურნეობებში ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტის მდგომარეობას რომ გადახედავთ, ჩანს, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე ძალზე ცუდად გამოიყურება მთლიანად სამხრეთ ოსეთში.

გარდა იმისა, რომ ოლქის კოლმეურნეობებში უსულგულოდ ეკიდებიან მანქანების რემონტის საქმეს, სუსტია კოლმეურნეობათა მომარაგება სათადარიგო ნაწილებით. ახლად შექმნილმა მანქანათვაჭრობის სტალინირის განყოფილებამ ჯერ კიდევ ვერ გაამალა მუშაობა. სამანქანო ტექნიკის ნაწილებზე მოთხოვნილება დიდია, ამ ორგანიზაციას კი ასეთი ტექნიკა არ გააჩნია.

მცირე დრო დარჩა საგაზაფხულო თესვის დაწყებამდე. წელს სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებმა დიდი ვალდებულებები იკისრეს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების დარგში. ტექნიკის გამოუყენებლად კი ამ ვალდებულების წარმატებით შესრულება წარმოუდგენელია.

ამ საქმეს გულდასმით უნდა ჩავუკვირდეთ.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„დოვლათს რატომ ვატანთ წყალს?!“

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც გაკრიტიკებული იყო ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის გამამდიდრებელ ფაბრიკაში არსებული ნაკლოვანებანი.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო მრეწველობის სამმართველოს უფროსი ალხ. **დ. ჩიკვაიძე** გვატყობინებს:

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ტყიბულის კანტორა ამჟამად საჭირო რაოდენობით უზრუნველყოფს გამამდიდრებელ ფაბრიკას ავტოთვითსაცლელებით სალექარებიდან ნახშირის ლამის გამოსაზიდად. დეკემბერში გამოიზიდა და მომმზარებელს გაეგზავნა 600 ტონამდე ლამი, მიუხედავად ცუდი ამინდებისა ლამის გამოზიდვა წარმოებდა იანვარშიც.

ფაბრიკის ხელმძღვანელობას მიეცა მითითება გააძლიეროს სალექარებიდან ლამის გამოზიდვა და მინიმუმამდე შეამციროს ლამის დანაკარგები.

ამავე დროს მიმდინარე წელს ტყიბულის გამამდიდრებელ ფაბრიკასთან აშენდება ლამის მექანიზებული სალექარები. რითაც უზრუნველყოფილი იქნება ლამის მთლიანად გამოყენება.



ნახ. ი. ქოქიაშვილისა.

ლეგენდარული არჯიღეარისჯი

გადაფურცლეთ 1948 წლის 11 თებერვლის გაზეთი „პრავდა“. იქ დაბეჭდილია ცნობილი მწერლის **ვსევოლოდ ვიშნევსკის** ნარკვევი **„ლენინგრადთან“.** წერილში მოთხრობილია ბალტიკის საზღვაო არტილერიის ბატარიის მეთაურის გრიგოლ იოსების-ძე ბარბაქაძის გმირული შემართებასა და თავგანწირვაზე. იგი მეთაურობდა ბალტიკის უძველეს მოძრავ ბატარიას.

„ამ ბატარიაზე გერმანელები ჯერ კიდევ 1941 წელს ნადირობდნენ, — მოგვითხრობს ვს. ვიშნევსკი. — ნარვასთან ჩამოგდებულმა გერმანელმა ტყვე მფრინავმა განაცხადა:

— თქვენთან რკინიგზაზე დაიარება რაღაც საშინელი ზარბაზანი, რომელსაც „ბარბაქაძეს“ ეძახიან. ის ჩვენ ბევრ უსიამოვნებას გვაყენებს“...

მწერალი გვიამბობს, თუ როგორ ურტყამდნენ ბარბაქაძის არტილერისტები ნევის ნაპირზე გამაგრებულ 170-ე გერმანულ დივიზიას.

„ორსაათნახევარს გრძელდებოდა სროლა, — წერს ვს. ვიშნევსკი. — 170-ე დივიზია გასრესილ იქნა. ბარბაქაძე გვიჩვენებს გერმანულ ზარბაზნებს, ისინი გატვნილია: გერმანელებს გასროლა ვერ მოუსწრიათ“.

მწერალს მოჰყავს ბარბაქაძის არტილერისტთა თავდადების არა ერთი ეპიზოდი. თვით გ. ბარბაქაძე, რომელიც ახლა არტილერიის პოლკოვნიკია, იგონებს:

„...ბრძოლა დავიწყე საზღვაო მძიმე არტილერიის ბატარიის მეთაურად ეხტონეთში. შემდეგ ვმონაწილეობდი ლენინგრადის ბლოკადის გარღვევაში, რადგან ჩემი ზარბაზნები ყველაზე შორს ისროდნენ, ყუმბარები დიდი წონისა იყო და სასტიკი განადგურება მიჰქონდა მტრის ბანაკში. გერმანელ მფრინავთა მთელი დივიზია ეძებდა ჩემს ზარბაზნებს, რომლებსაც გერმანელებმა „ბარბაქაძე“ შეარქვეს. და აი რატომ: ჩვენი არტილერისტები ტელეფონით ან რადიოთი ლაპარაკისას ამბობდნენ: „ივანოვი ვარ ბარბაქაძიდან“, „მიხაილოვი გელაპარაკებით ბარბაქაძიდან“. ამ საუბარს ინდუქციით ისმენდნენ გერმანელები და ეგონათ, რომ ზარბაზნებს „ბარბაქაძე“ ერქვა.

„კომუნისტი“
მე-2 გვერდი, ხუთშაბათი,
23 თებერვალი, 1961 წ.

სამამულო ომის მრისხანე, ლენინგრადის ბლოკადის მძიმედ მოსაგონარ დღეებში გაზეთ „კრასნი ფლოტის“ კორესპონდენტი ლევ უსპენსკი ერთ ასეთ შემთხვევას გადმოგვცემს:

„საბრძოლო ოპერაციის დროს მტრის მძიმე ავიაბომბმა ლიანდაგიდან გადააგდო ყუმბარებით სავსე ეგონი. როდესაც თავდასხმის შედეგები ლიკვიდირებულ იქნა, არტილერისტების წინაშე დადგა ამოცანა: რა უყონ ყუმბარებით სავსე გადაბრუნებულ ვაგონს. საარტილერიო ყუმბარას თავისი არსებობის მთელ მანძილზე ხომ მხოლოდ ორი ბიძგის განცდა შეუძლია— გასროლის დროს და მიზანში მოხვედრისას. აქ კი ასობით ყუმბარა იყო, რომლებმაც კატასტროფის დროს უკვე განიცადა პირველი ბიძგი. ერთადერთი საშუალება იყო ფოლადის გარსში მოქცეული მთელი ამ საშინელი მასის გაუვნებლება — თვითეული ყუმბარიდან ამფეთქებლის ამოძრობა. მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ამ ძვირფასი საბრძოლო მარაგის გადარჩენა. მაგრამ ამის გაკეთება ხომ სასიკვდილო საფრთხეს შეიცავდა.

საბრძოლო კოლექტივი მაგალითს თავისი მეთაურისაგან იღებს. ბარბაქაძის ადამიანებმა, მის მიერ უშიშრად აღზრდილებმა ზუსტად შეასრულეს მეთაურის ბრძანება. თითო-თითოდ გამოიტანეს ყუმბარები გადაბრუნებული ვაგონიდან. უდიდესი სიფრთხილით შეიცვალეს ძველი ამფეთქებლები ახლებით და უკლებლივ ყველა ყუმბარა შემდეგ მტრის ბანაკს დაატეხეს თავს“...

„არტილერიის გარეგანი და შინაგანი ბალისტიკის გარდა, — დასძენს ამბ. უსპენსკი, — მოქმედებს კიდევ მაღალი ბალისტიკა არტილერისტთა სულისა, და კაპიტანი ბარბაქაძე, რომელმაც შეძლო შთაენერგა თავისი ხელქვეითებისათვის მაღალი საბრძოლო სულისკვეთება, აღიარებულ უნდა იქნას მის ოსტატად“...

ვინ მოთვლის, რამდენი სახელოვანი შერკინება გადახდენიათ გ. ბარბაქაძის არტილერისტებს. მათ დიდების შარავანდედით შემოსეს რუსული არტილერიის „ომის ღმერთის“ სახელი და საბრძოლო ტრადიციები.

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს გვარდიის კაპიტანის გრიგოლ იოსებისძე ბარბაქაძის შესახებ.

ბევრჯერ გაუშვერია ფაშისტებისათვის სიცოცხლე ზუსტი დარტყმების ამ ოსტატს... დიდი სამამულო ომის პირველ კვირეებში, როცა ჩვენმა სარდლობამ ლენინგრადის დასაცავად მის მისასვლელებთან დიდძალ არტილერიას მოუყარა თავი, კაპიტან ბარბაქაძის მძიმე ბატარიის მეომრებმა მეტად სახიფათო გადასვლა მოახერხეს, რითაც შესანიშნავი ფურცელი ჩაწერეს თავიანთი ბატარიის ისტორიაში.

ბარბაქაძე დიდებულად იყენებდა და შეუმჩნეველად მალავდა თავის არტილერიას, მუსრს ავლებდა გერმანელ დამპყრობლებს, მათ ტანკებს, ზარბაზნებს, შიშის ზარს სცემდა ფაშისტ არამზადებს“...

მასწავლებლის შვილმა გ. ბარბაქაძემ სახელოვანი შრომისა და ბრძოლის გზა განვლო. იგი დაიბადა 1910 წელს თერჯოლაში. საშუალო სკოლა ქუთაისში დაამთავრა, და მუშაობდა თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის მშენებლობაზე მუშად, ხოლო მშენებლობის დამთავრების შემდეგ — საამქროს ოსტატად. 1931 წელს, როგორც მოწინავე მუშა, გაგზავნეს მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტში. იქიდან კომკავშირული გაწვევით მოხვდა სევასტოპოლის საზღვაო დივიზიის სამხედრო სასწავლებელში, რომელიც „ოქტომბერი“ დაამთავრა, შემდეგ იყო კადრის ოფიცერი კრონშტადტში, ბალტიკაში. ლენინგრადის ბლოკადის გარღვევის ისტორიულ დღეებში, — წერს ამბ. სმირნოვი, — ფაშისტთა ბუნაგს ორმოც ტონაზე მეტი სიკვდილის მომტანი ლითონი დააყარა თავზე ბარბაქაძის დივიზიონმა. ბრძოლის პირველ ორ დღეში მისი ბატარიის ცეცხლით განადგურდა მ

საერთაშორისო
ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ ᲪᲘᲡᲤᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐ
ᲪᲘᲡᲤᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲔ

საბჭოთა კავშირი დახმარების ხელს უწვდის ინდოეთს

კოლონიზატორები ვერ გაექცევიან ხალხის რისხვას

ა. ნ. კოსიგინი ინდოეთში

დელი, 21 თებერვალი. (საკდესი). ცეკმენტის უბრალო მოედანი პარკის ცენტრში, რომელიც მდებარეობს მდინარე ჯამნის მახლობლად. მთელი წლის განმავლობაში ვიღაცის მზრუნველი ხელი რთავს მოედანს ცოცხალი ყვავილების ფუნსცმელი და ცოცხალი ყვავილების ვეებერთელა გვირგვინით გაემართნენ განდის კრემაციის ადგილისაკენ. შეამეს რა გვირგვინით კრემაციის ადგილი, საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულმა სტუმრებმა ერთი წუთის დუმილით პატივი სცეს გამოჩენილი ინდოელი მოღვაწის ხსოვნას.

ᲑᲝᲜᲔ, 21 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი ბ. იურინოვი იუწყება: ხვალ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ადენაუერი საგარეო საქმეთა მინისტრის ბრენტანოს თანხლებით ორი დღის ვიზიტად მიემგზავრება ლონდონს, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებს ინგლისის პრემიერ-მინისტრ მაკმილანთან.

უკანასკნელ დღეებში დასახელებული იყო მთელი კატალოგი თემებისა, რომლებსაც ამ მოლაპარაკების მსვლელობაში შეეხებიან. ამ თემების ანალიზს მოჰყვება ერთი დასკვნა: ადენაუერის მოლაპარაკება ლონდონში მჭიდროდ დაკავშირებულია მის ამასწინანდელ პარიზის მოლაპარაკებასთან და მიზნად ისახავს შეაკოწიწოს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ცოტად თუ ბევრად მტკიცე ფრონტი. ასეთი ფრონტის შესაქმნელად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ცდილობს გამოვიდეს შუამავლად იმ სერიოზულ ეკონომიურ წინააღმდეგობათა აღმოფხვრაში, რომლებიც არსებობს ეგრეთწოდებული „ევროპის ეკონომიური გაერთიანებისა“ და „თავისუფალი ვაჭრობის ზონის“ ქვეყნებს შორის. ამიტომ თავისი ლონდონის მოლაპარაკების ცენტრში იგი აპირებს დააყენოს საკითხი ინგლისის მონაწილეობის შესახებ „ევროპის გაერთიანების“ ქვეყნების მთავრობათა მეთაურებისა და საგარეო საქმეთა მინისტრების პოლიტიკურ კონსულტაციებში, რომლებიც ბონში უნდა მოეწყოს. მეორე მხრივ, რომ გაძლიერდეს ინგლისის თანამშრომლობა დასავლეთ ევროპის კონტინენტურ ქვეყნებთან, კანცლერ ადენაუერს მიაჩნია დასავლეთ ევროპის კავშირის საქმიანობის აქტივიზაცია, რომელშიც ინგლისიც შედის. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასთან დაახლოებული გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე“ პირდაპირ აღნიშნავს, რომ ბონს დასავლეთ ევროპის ეკონომიურ ერთიანობაში [illegible] ინსტრუმენტად. [illegible] ბონის [illegible] სის უფრ[illegible]

ᲐᲓᲔᲜᲐᲣᲔᲠᲘ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ ᲛᲘᲘᲩᲥᲐᲠᲘᲡ

ᲑᲝᲜᲘᲡ მთავრობის წრეებში არ მალავენ მისწრაფებას, რომ ყველა ამ მოლაპარაკების მსვლელობაში შეიმუშაონ ევროპის ერთობლივი ხაზი საერთაშორისო საკითხებში. ეს მისწრაფებანი გამოწვეულია იმით, რომ ოფიციალური ბონი დარწმუნებული არ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი მთავრობის კურსი საესებით შეესაბამება მის სურვილებს, ავრეთვე შიშით, რომ ინგლისს შეუძლია შეუერთდეს ამ კურსს. ამიტომ აქ განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ. ადენაუერის მოლაპარაკება ინგლისის პრემიერ-მინისტრთან გაიმართება მანამდე, სანამ მაკმილანი შეხვდებოდეს კენედის, და ამით შეიძლება გავლენა მოახდინონ მაკმილანის პოზიციაზე ამ შეხვედრის დროს.

ადენაუერი აპირებს აგრეთვე ლონდონში განიხილოს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული ბლოკის შემდგომი გაძლიერების საკითხი.

Au Katanga, les mercenaires se noircissent le visage pour aller en operation

ᲐᲓᲔᲜᲐᲣᲔᲠᲘ ᲐᲙᲝᲬᲘᲬᲔᲑᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲡ

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობა

დელი, 21 თებერვალი. (საკდესი). დღეს ინდოეთის ფინანსთა სამინისტროში პრემიერ-მინისტრის ჯ. ნერუს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ნ. კოსიგინისა და ინდოეთის ფინანსთა მინისტრის მორარჯი დესაის თანდასწრებით ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რეპუბლიკის მთავრობათა შემდგომი ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ.

შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ა. ნ. კოსიგინი და მისი თანმხლები პირები გაემგზავრნენ უდიეე ბჰავანში — ასე ეწოდება შენობას, სადაც მოთავსებულია სახელმწიფო საგეგმო კომისია. ეს კომისია არის შტაბი, რომელიც ამუშავებს ინდოეთის ეკონომიური განვითარების გეგმებს და რომელსაც სათავეში უდგას ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ.

საგეგმო კომისიის წევრებსა და ა. ნ. კოსიგინს შორის გაიმართა მეგობრული საქმიანი საუბარი.

ინდოეთის საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ და შრომისა და დაგეგმვის მინისტრმა გულზარილალ ნანდამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოელ მუშაკებს დიდად აინტერესებთ საბჭოთა კავშირის სამეურნეო განვითარება, სწავლობენ და თავიანთ მუშაობაში იყენებენ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის გამოცდილებას სსრ კავშირში.

საუბრის მსვლელობაში ამბ. კოსიგინმა უამბო საბჭოთა კავშირში სამეურნეო მშენებლობის წარმატებებზე,

ა. ნ. კოსიგინმა ილაპარაკა საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის სავაჭრო ურთიერთობისა და ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების შესაძლებლობებზე, ამასთან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ამ ურთიერთობის ურთიერთხელსაყრელ ხასიათს და იმას, რომ აღნიშნული ურთიერთობის. მსვლელობაში საბჭოთა კავშირი არ ისახავს მიზნად რაიმე პოლიტიკური სარგებლობას. ამასთან ამბ. კოსიგინმა უურადღება დაუთმო იმას, რომ, მისი აზრით, არის ინდოეთის შავი მეტალურგიის საწარმოთა სიმძლავრეების გამოყენების გაუმჯობესების შესაძლებლობანი.

საუბრის დამთავრების შემდეგ ა. ნ. კოსიგინი და მისი თანმხლები პირები გაემგზავრნენ კოსიგინის ოფიციალურ რეზიდენციაში, რომელიც პრეზიდენტის სასახლეშია.

დელი, 22 თებერვალი. (საკდესი). გუშინ დღის მეორე ნახევარში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი ეწვია ინდოეთის ფინანსთა მინისტრს მორარჯი დესაის.

ვიზიტის დროს გაიმართა საუბარი, რომლის მსვლელობაში შეეხნენ ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიური თანამშრომლობის საკითხებს.

შეხვედრას მეგობრული ხასიათი ჰქონდა.

დღესვე მოხდა ამბ. კოსიგინის შეხვედრა სახელმწიფო მინისტრთან ინდოეთის ფოლადის, წიაღისა და სათბობის სამინისტროში კ. დ. მალავიასთან. საუბარი შეეხებოდა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ნავთობის დაზვერვის, ამოღებისა და გადამუშავების და სხვა სასარგებლო წიაღისეულთა დაზვერვის სამუშაოების განხორციელებასთან ინდოეთში.

ᲐᲓᲔᲜᲐᲣᲔᲠᲘ ᲐᲙᲝᲬᲘᲬᲔᲑᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲡ

სიფყვების დრო წავიდა, საჭიროა ვიმოქმედოთ!

უშიშროების საბჭოში

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 21 თებერვალი. (საკდესი). გუშინ დღისით განახლდა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც კონგოს რესპუბლიკის მდგომარეობას განიხილავს.

თუმცა საბჭოს გუშინდელი დილის სხდომის შემდეგ მხოლოდ ოთხი საათი გავდა, ვითარება ამ ხნის მანძილზე მნიშვნელოვნად გამწვავდა და დისკუსიას უფრო მწვავე ხასიათი მიეცა.

მე მოკლედ ვიტყვი, სიტყვების დრო წავიდა, განაცხადა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ლუტფიმ, ომისელი პირველი გამოვიდა საბჭოს დღის სხდომაზე. მინდა დავთავაქვა ჩვენი აღშფოთება ახალ პოლიტიკურ მკვლელობასთან დაკავშირებით კონგოში, რაც ღღეს შევიტყეთ. ამ დანაშაულმა საბოლოოდ გაუტეხა სახელი კასავუბუ-ჩომბე-მობუტუს დაჯგუფებას.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონგოში მშვიდობისა და მყუდროების აღდგენის ერთადერთი გზა ის არის, რომ ბოლო მოეღოს კოლონიზატორთა, უწინარეს ყოვლისა ბელგიელ კოლონიზატორთა ჩარევას კონგოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში.

ცნობა ახალი პოლიტიკური მკვლელობის შესახებ კონგოში, განაცხადა ცეილონის წარმომადგენელმა სუბასინგჰემ, ნიშნავს, რომ ტრაგედიამ კონგოს რესპუბლიკაში კულმინაციურ წერტილს მიაღწია. იგი მოწმობს, რომ კოლონიზატორები, ცდილობენ რა ჩაანგრევ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მიმართავენ ყოველგვარ ხრიკებსა და დანაშაულობებს.

ეერიის წარმომადგენელმა პედმორმა აღნიშნა, რომ კონგოს მდგომარეობა კვლავ სწრაფად უარესდება. დამატებით რეზოლუციის ორი წინაპროექტისა, რომელთა თანაავტორიც ეერია არის, მის დელეგაციას შემოაქვს კიდევ რეზოლუციის ერთი პროექტი, რომელიც მოითხოვს უშიშროების საბჭოს შემდეგი სხდომა გაიმართოს კონგოში ან სადმე მეზობელ ქვეყანაში, რათა „სხდომაში მონაწილეობა მიიღონ კონგოელმა ლიდერებმა“.

გამოთქვა რა აღშფოთება აფრიკის ერთერთი უდიდესი ლიდერის პატრის ლუმუმბას წინასწარ განზრახული მკვლელობის გამო, ინდოეთის წარმომადგენელმა ჯჰამ მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მოაწყოს „ამ მკვლელობის გარემოებათა მიუკერძებელი საერთაშორისო გამოძიება, რათა დაისაჯონ ის პირნი, რომლებიც პასუხს აგებენ ამისათვის“.

ნიგერიის წარმომადგენლის ნგილერუმის სიტყვით, კონგოს მდგომარეობა კატასტროფულ ხასიათს იღებს. თუ ჩვენ ვერ მივაღწევთ „ეფექტიან“ გადაწყვეტილებას, — თქვა მან. — შევლახავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრესტიჟს და ზიანს მივაყენებთ მშვიდობის საქმეს. მაგრამ წინადადებანი, რომლებიც ნიგერიის წარმომადგენელმა ჩამოაყალიბა, არსებითად იმეორებენ „შეშარიგებელი კომისიის“ რეკომენდაციებს.

შემდეგ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი სტივენსონი. ჩვენ, თქვა მან, ავრეთვე მივაჩნია, რომ ეს კრიზისია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცხოვრებაში, სტივენსონმა ცეილონის, ლიბერიისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის რეზოლუციის პროექტს უწოდა „შიშროების საბჭოს განკარგულებაში არსებული „ერთადერთი პრაქტიკული წინადადება“. რომელიც ითვალისწინებს, ამერიკის შეერთებული შტატების აზრით, ეფექტიან მოქმედებას.

უშიშროების საბჭოს სხდომის მსვლელობაში გავრცელებულ იქნა ცეილონის, ლიბერიისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეორე რეზოლუციის პროექტის ტექსტი.

გმობენ რა პოლიტიკურ ლიდერთა დაპატიმრებასა და დახოცვას კონგოში, პროექტის ავტორები მოუწოდებენ „ლეოპოლდვილის, ელისაბეტვილისა და კასაის ხელისუფლებ დაუყოვნებლივ მოუღონ ბოლო ასეთ პრაქტიკას“. ამისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა მიიღოს „ყველა შესაძლო ღონისძიება, მათ შორის ძალის გამოყენება, როგორც უკანასკნელი საშუალება“.

მთელი რიგი დელეგატების ბუნდოვან განცხადებათა შემდეგ გულისწყრომით აღსავსე, გამკიცხავი სიტყვა წარმოთქვა მოროკოს წარმომადგენელმა ბენ აბუდმა. ლუმუმბასა და მისი კოლეგების დახოცვა შემფოთებას იწვევს, თქვა მან. იგი ნიღაბს ხდის დამნაშავეებს. კონგოს კრიზისი ვრცელდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გაკვეთილი უნდა მიიღოს ამ დანაშაულიდან და ისარგებლოს თავისი უკანასკნელი შესაძლებლობით, რომ გამოასწოროს მდგომარეობა.

მას შემდეგ, რაც თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ აპირებს დახუროს სხდომა, სსრ კავშირის დელეგატმა ვ. ა. ზორინმა წინადადება შეიტანა დაუყოვნებლივ ეყაროს ქენჭი აზიისა და აფრიკის სამი ქვეყნის რეზოლუციის პროექტს, რომელიც შეტანილია დღის სხდომაზე და მოითხოვს ბოლო მოეღოს პოლიტიკურ რეპრესიებს. ამან პოლემიკა გამოიწვია, და ქენჭი ეყარა წინადადებას რეზოლუციის პრიორიტეტის შესახებ. ოთხმა დელეგაციამ — ლიბერიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და ცეილონის დელეგაციებმა მხარი დაუჭირეს წინადადებას, რომ პირველს ეყაროს ქენჭი ამ რეზოლუციის პროექტს. უშიშროების საბჭოს წევრმა დანარჩენმა შვიდმა დელეგაციამ თავი შეიკავა, და წინადადება არ გავიდა. სიტყვა აიღო ვ. ა. ზორინმა, რომელმაც განაცხადა გამოთქვა ამერიკის წარმომადგენლის პოზიციის გამო, რომელიც დღით ლაპარაკობდა იმაზე, რომ საჭიროა სწრაფად გამოვეჩინაურთ დანაშაულობას, ხოლო როცა საქმე მივიდა გადაწყვეტილების მოწონებამდე, აღმოჩნდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ არიან მზად მიიღონ კონკრეტული რეზოლუცია.

ამით დამთავრდა დღის სხდომა. უშიშროების საბჭო შეიკრიბება დღეს საღამოს.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 21 თებერვალი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტები გ. ვასილიევი და ვ. ოზერიოვი იუწყებიან: 20 თებერვალს 21 საათსა და 25 წუთზე ადგილობრივი დროით (21 თებერვლის 5 საათსა და 25 წუთზე მოსკოვის დროით) შუშაობა განაახლა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ, რომელიც კონგოში შექმნილი მდგომარეობის საკითხს განიხილავს.

საღამოს სხდომაზე პირველი გამოვიდა ინგლისის წარმომადგენელი პატრიკ დინი. მან მოჩვენებითი მწუხარება გამოთქვა „ბ-ნ ლუმუმბას საეჭვო ვითარებაში სიკვდილის გამო“, ამასთან ერთი სიტყვაც არ უთქვამს მკვლელთა დასაგმობად და გულმოდგინედ იცავდა საშინელი დანაშაულის ერთ-ერთ მთავარ მონაწილეს — ჰამარშელდს. ინგლისელმა დელეგატმა ფარისეველურად მოუწოდა საბჭოს „დავიცხოთო ვნებათა ღელვა“ და „ვიფიქროთ მხოლოდ კონგოელი ხალხის კეთილდღეობაზეო“. მან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გაუკეთებლად განაცხადა, რომ ინგლისი ხმას მისცემს საბჭოთა რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ. ამავე დროს ჰატრიკ დინმა მხარი დაუჭირა სამი ქვეყნის რეზოლუციის ერთობლივ პროექტს, თუ ამ პროექტში ზოგიერთი ცვლილება იქნება შეტანილი.

ასევე გამოვიდა მეორე კოლონიური სახელმწიფოს წარმომადგენელი საფრანგეთის დელეგატი ბერარი. არსებითად მათ ბანს აძლევდნენ ჩილისა და ეკვადორის დელეგატები.

შემდეგ სიტყვა აიღო სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ა. ზორინმა. მან გააანალიზა ლიბერიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ცეილონის რეზოლუციის მეორე პროექტი, რომელიც შეიტანეს საბჭოს დღის სხდომაზე მას შემდეგ, რაც გამოირკვა კონგოელი პატრიოტების ახალი დახოცვა.

შემდეგ ვ. ა. ზორინი დაწვრილებით შეეხო საბჭოთა რეზოლუციის პროექტს. ეს პროექტი, ხაზი გაუსვა მან, ითვალისწინებს მოქმედების პროგრამას კონგოში მდგომარეობის ძირეული გაუმჯობესებისათვის, ძირეული შეცვლისათვის. საბჭოთა რეზოლუციის პროექტი გმობს ბელგიელ აგრესორებს, მოითხოვს კოლონიზატორებისა და მათი მარიონეტების ჩამბეს და მობუტუს მოშორებას, ცნობს, რომ საჭიროა ჰამარშელდი გადაეყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პოსტიდან და კონგოელ ხალხს შესაძლებლობას აძლევს თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი.

ამის შემდეგ უშიშროების საბჭო შეუდგა რეზოლუციათა პროექტების ' კენჭისყრას. ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა ლიბერიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ცეილონის რეზოლუციის პროექტი. მას ჩხარი დაუჭირა უშიშროების საბჭოს ცხრა წევრმა. სსრ კავშირმა და საფრანგეთმა ამ პროექტის კენჭისყრაში თავი შეიკავეს. ამგვარად მიღებული რეზოლუცია თუმცა მოითხოვს მთელი ბელგიელთა პერსონალის გაყვანას კონგოდან, მაგრამ მთლიანად ნახევრული ღონისძიების ხასიათი აქვს.

ამის შემდეგ უშიშროების საბჭო შეუდგა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ცეილონისა და ლიბერიის რეზოლუციის მეორე პროექტის კენჭისყრას. ეს პროექტი, რომელიც კატეგორიულად გმობს კონგოს პოლიტიკური ლიდერების უკანონო დაპატიმრებასა და დახოცვას, მოუწოდებს დაუყოვნებლივ მოუღონ ბოლო დანაშაულს და რჩევას აძლევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი, ძალაც კი გამოიყენოს, ეტყობა ზოგ ვინმეს არ მოეწონა, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა სტივენსონმა შეიტანა შესწორებანი, რომელთა მიზანია შეანელოს რეზოლუციის ქმედითობა და გაბუნდოვანოს მთელი მსოფლიოსათვის ნათელი საკითხი იმ პირთა შესახებ, რომელნიც პასუხს აგებენ კონგოელი ხალხის პოლიტიკურ ხელმძღვანელთა მხეცურად დახოცვისათვის.

რეზოლუციის პროექტის ავტორებმა, რომელთაც სურთ მიაღწიონ ერთხმივობას, დაეკმაყოფილეს ამერიკელი დელეგატის სურვილები ცალკეულ მუხლებში, მაგრამ გადაჭრით გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ხსენებული ორი შესწორების წინააღმდეგ, რომლებიც შინაარსს აცლიან რეზოლუციას. ამერიკის შეერთებული შტატების შესწორება სტინლიელის შტაბის შესახებ უარყოფილ იქნა, რამდენადაც მის წინააღმდეგ ხმა მისცა საბჭოს მუდმივმა წევრმა—საბჭოთა კავშირმა. მის წინააღმდეგ ხმა მისცეს ავრეთვე ცეილონმა და არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ მარცხი რომ განიცადა, ახალ მანევრს მიმართა, რომელიც ობიექტურად მიზნად ისახავს მკვლელთა ხსნას. მან მოითხოვა საერთოდ გამოირიცხოს რეზოლუციიდან ის ადგილების მოხსენიება, სადაც მხეცურად დახოცეს კონგოს პრემიერ-მინისტრი ლუმუმბა და კონგოელი ხალხის სხვა გამოჩენილი ლიდერები.

სიტყვა აიღო საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ვ. ა. ზორინმა. მან გადაჭრით დაგმო დასავლეთის სახელმწიფოთა ცდები თავი ამოფაფარონ ზოგად დებულებათა კვამლის ფარდას.

კენჭი უყარეს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის შესწორებას — გამოირიცხოს პრეამბულიდან სიტყვები:

„...მხეცობა და მკვლელობა ლეოპოლდვილში, კატანგასა და სამხრეთ კასაიში, ზონგოში“. შესწორება უარყოფილ იქნა, რამდენადაც მის წინააღმდეგ რეზოლუციის ორ ავტორთან — არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და ცეილონთან ერთად ხმა მისცეს უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრმა — საბჭოთა კავშირმა.

შემდეგ კენჭი უყარეს ჩილის ქვეყნის რეზოლუციის მთლიანად. რეზოლუციას ხმა მისცეს ექვსი სახელმწიფოს — სსრ კავშირის. ცეილონის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ლიბერიის, ეკვადორისა და ჩილის დელეგაციებმა. არც ერთ დელეგაციას არ მიუცია ხმა წინააღმდეგ და ხუთმა — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა, თურქეთმა და ჩანკაიშელმა — თავი შეიკავა.

ამრიგად, დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციის შედეგად რეზოლუციამ, რომელიც ითვალისწინებს კონგოში სისხლიან დანაშაულთა აღკვეთის ღონისძიებებს, ვერ შეაგროვა საჭირო უმრავლესობა შვიდი ხმა და უარყოფილ იქნა.

4 საათსა და 20 წუთზე ადგილობრივი დროით (12 საათსა და 20 წუთზე მოსკოვის დროით) უშიშროების საბჭოს სხდომა დამთავრდა.

ᲙᲐᲢᲐᲜᲒᲐᲨᲘ, იუწყება გაზეთი „ფრანს-სუარი“, კოლონიზატორების და მათი მარიონეტების თეთრკანიანი დაქირავებული აგენტები „ოპერაციებზე“ წასვლის წინ ხახეს შავად იღებავენ. ვის ატყუებენ? მსოფლიოს საზოგადოებრიობამ კარგად იცის, რომ ისინი კონგოელი ხალხის ჯალათები არიან.

კონგოში გრძელდება ტერორი

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 21 თებერვალი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ლეონოლდვილიდან იუწყება, რომ როგორც დღეს იქ განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიის წარმომადგენელმა, ბაკვანგმი უკანასკნელ დღეებში სიკვდილით დაასჯეს კიდევ ექვსი პოლიტიკური მოღვაწე — ლუმუმბას მომხრეები, იმათ გარდა, რომლების შესახებაც გუშინ ილაპარაკა ჰამარშელდმა უშიშროების საბჭოში.

ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲛᲐ ᲪᲝᲤᲘ ᲰᲧᲐᲠᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 21 თებერვალი. (საკდესი.) ტელეგრაფმა ელიზაბეტვილიდან მოიტანა ამბავი, რომ კატანგის მარიონეტ მმართველს დღეს მთელ პროვინციაში „საყოველთაო მობილიზაცია“ გამოუცხადებია.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საagენტოს კორესპონდენტი იუწყება, ჩომბემ რადიოთი სიტყვა წარმოთქვა იმის რამდენიმე საათის შემდეგ, რაც უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ გაიყვანონ კონგოდან მთელი ბელგიელი და სხვა უცხოელთა სამხედრო და ნახევრად სამხედრო პერსონალი, ავრეთვე პოლიტიკური მრჩევლები, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობას არ ეჭვემდებარებიან და დაქირავებული ჯარისკაცები.

აღვირახსნილმა მკვლელმა, რომელმაც სულ ახლახან ისარგებლა ჰამარშელდისა და კონგოში მისი ემისრების წაყრუებით, რათა ავიზაკურად მოეკლა კონგოს ეროვნული გმირი პატრის ლუმუმბა, ცოფი ჰყარა, როცა შეიტყო თუ რა ღონისძიებათა განხორციელება ცნო საჭიროდ უშიშროების საბჭომ კონგოს მდგომარეობის მოწესრიგებისათვის. უშიშროების საბჭოს რეზოლუციას მან უწოდა „დეკლარაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ომისა კატანგის და მთელი ყოფილი ბელგიის კონგოს წინააღმდეგ“. შიშობს რა, რომ ბელგიის სამხედრო პერსონალის გაყვანის შემდეგ, რასაც მტკიცედ მოითხოვს უშიშროების საბჭო, მისი მარიონეტული რეჟიმი კრახის პირას აღმოჩნდება და იგი იძულებული გახდება პასუხი აგოს ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის, ჩომბემ კატანგის „ყველა თეთრკანიან და შავკანიან მცხოვრებს“ მოუწოდა იბრძოლონ „თავიანთი სიცოცხლისა და ქონების“ დასაცავად, რომელებსაც, როგორც იგი ამტკიცებდა, „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ემუქრება“.

რომ კონგოში სისხლი არ იღვრებოდეს

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 22 თებერვალი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ კონგოში არსებული მდგომარეობის საკითხის განხილვის შემდეგ მიიღო რეზოლუციის პირველი პროექტი, რომელიც 17 თებერვალს შეიტანეს ცეილონმა, არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ და ლიბერიამ.

მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ კონგოს ხელმძღვანელების — პატრის ლუმუმბასა, მორის მპოლოსა და ოზეფ ოკიტოს დახოცვა „მოასწავებს იმის საშიშროებას, რომ კონგოში წარმოქმნას დიდი სამოქალაქო ომი და სისხლისღვრა და საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობასა და უშიშროებას“.

უშიშროების საბჭო, ნათქვამია რეზოლუციაში, მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას „დაუყოვნებლივ მიიღოს ყველა შესაბამისი ღონისძიება იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული სამოქალაქო ომი კონგოში, რათა „დაუყოვნებელივ გაიყვანონ ბელგიის მთელი და უცხოელთა სხვა სამხედრო და გასამხედროებული პერსონალი და პოლიტიკური მრჩევლები კონგოდან, ისინი, რომლებიც არ ექვემდებარებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობას, ავრეთვე დაქირავებული ჯარისკაცები“.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ საჭიროა დაუყოვნებელივ მოეწყოს „მიუკერძოებელი გამოძიება საქმისა“, რათა გამოირკვეს ლუმუმბასა და მის თანამებრძოლთა დახოცვის ვითარება და დაიასაჯოს ის პირნი, რომლებმაც ჩაიდინეს ეს დანაშაული. რეზოლუციაში შემდეგ გამოთქმულია მოწოდება, რომ მოწვეულ იქნეს კონგოს პარლამენტი. „გარდაიქმნას კონგოს შეიარაღებული ძალებისა და პერსონალის ნაწილები, იქ შემოღებულ იქნეს დისციპლინა და კონტროლი და მიუკერძოებელ და სამართლიან საფუძველზე მიიღონ ღონისძიებანი ამ მიმართულებით, რათა აღმოიფხვრას ასეთი ნაწილების ან პერსონალის ჩარევის ყოველგვარი შესაძლებლობა კონგოს პოლიტიკურ ცხოვრებაში“.

უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია, რომლის კენჭისყრის დროს საბჭოთა კავშირმა თავი შეიკავა, თუმცა მოითხოვს ბელგიის მთელი პერსონალის გაყვანას კონგოდან, მაგრამ მთლიანად ორაზროვანი ხასიათისაა, რადგან არ შეიცავს კოლონიზატორთა დანაშაულებრივი მოქმედების დაგმობას, რაც მათ კონგოში ჩაიდინეს.

რეზოლუციის მეორე პროექტი, რომელიც საბჭოს განსახილველად უფრო გვიან შეიტანეს ავრეთვე ცეილონმა, არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ და ლიბერიამ, და რომელიც ითვალისწინებს უფრო მტკიცე ღონისძიებათა მიღებას კონგოში სისხლიან დანაშაულობათა აღსაკვეთად, ავრეთვე საბჭოთა კავშირის პროექტი, არ მოიწონა უშიშროების საბჭომ დასავლეთის სახელმწიფოთა წინააღმდეგობის გამო.

ᲙᲝᲡᲐᲙᲐᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 21 თებერვალი. (საკდესი). როგორც ტოკიოს რადიო იუწყება, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კოსაკამ დღეს უარყო განცხადება იაპონიის წარმომადგენლისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში — მაცუდაირისი იმის შესახებ, რომ იაპონიამ უნდა გაგზავნოს თავისი ჯარები კონგოში. მთავრობა, თქვა კოსაკამ, არ აპირებს თავის გადაწყვეტილების შეცვლას და არ გაგზავნის ჯარისკაცებს კონგოში.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ

ᲪᲠᲝᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝᲓ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 21 თებერვალი. (საკდესი). გუშინ დასავლეთ ბერლინის ნოიკელნის რაიონში გაიმართა მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დასავლეთ ბერლინის ანტიფაშისტებმა და წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლებმა ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან—სულ 450-ზე მეტმა კაცმა. მიტინგის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ გადაწყვეტილი აქვთ განაგრძონ ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისათვის, მილიტარიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ.

იმ პირთა გაერთიანების ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენელმა, რომლებსაც დევნიდნენ ფაშიზმის დროს, ავგუსტ ლუშერმა თავის სიტყვაში აღნიშნა თუ რა საფრთხეს ქმნის ნეონაცისტთა აქტივიზაცია დასავლეთ გერმანიაში, მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭიროა დასავლეთი ბერლინი გახდეს დემილიტარიზებული თავისუფალი ქალაქი.

მიტინგზე გამოვიდნენ იტალიიდან, ჰოლანდიიდან და საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული სტუმრები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ სოლიდარობას უცხადებენ დასავლეთ ბერლინის ანტიფაშისტთა ბრძოლას. მიტინგის მონაწილენი მხურვალედ შეხვდნენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის საბჭოთა კავშირის გმირის ნადეჟდა ტროიანის მოწოდებას მთელი ძალ-ღონე მოახმარონ ბრძოლას მშვიდობის განმტკიცებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის.

მიტინგის მონაწილეებმა გადაჭრით დაგმეს კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პატრის ლუმუმბას და მის თანამებრძოლთა ავაზაკური დახოცვა და მიიღეს გადაწყვეტილება ამასთან დაკავშირებით საპროტესტო დეპეშა გაგზავნონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელზე.

**ᲙᲝ

ქმაბეები, ცნობები, ფაქტები

რით დავზვერავთ კოსმოსს?

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პულკოვოს მთავარ ასტრონომიულ ობსერვატორიაში, რომელიც ლენინგრადის მახლობლად მდებარეობს, ჩვენ ვესაუბრეთ გამოჩენილ საბჭოთა ასტროფიზიკოსს ნ. ი. კუჩეროვს. „ვიდრე პირველი ასტრონავტი ფეხს შედგამდეს მთვარეზე, მარსზე ან ვენერაზე, — ამბობს იგი, — ჩვენ ჯერ ბევრი რამ უნდა გავიგოთ ამ ციურ სხეულებზე“. მეცნიერი მოგვითხრობს საპლანეტო ასტრონომიის გაზრდილ როლზე და საუკეთესო ასტროკლიმატის ძებნაზე, რასაც ამჟამად აწარმოებენ პულკოვოს მეცნიერთა ექსპედიციები კავკასიაში, პამირზე, ყირგიზეთში და სხვა მაღალმთიან რაიონებში.

— ადგილის ასტროკლიმატურ დახასიათებაში, — განმარტავს კუჩეროვი, — შედის წელიწადში მოწმენდილი დღეების რაოდენობა, ატმოსფეროს გამჭვირვალობა და, რაც მთავარია, ნისი სიწყნარე, რაც საჭიროა ცის წარმატებითი დაკვირვებისათვის. ექსპედიციების მიერ მიღებული მონაცემების საფუძველზე შერჩეული იქნება წერტილი, სადაც დაიდგმება უდიდესი ტელესკოპი-რეფლექტორი, რომელიც შექმნა პულკოვოელმა ასტრონომმა დ. დ. მაქსუტოვმა.

როგორი იქნება ეს უნიკალური ტელესკოპი? მასშტაბების გაგებისათვის ყველაზე კარგი შედარება. 1960 წლის შემოდგომაზე ლენინგრადის სახელმწიფო ოპტიკურ-მექანიკური ქარხნის მემონტაჟეთა ბრიგადამ ბიურაკანის ობსერვატორიაში (სომხეთში) დაამონტაჟა ფართოკუთხეებიანი ტელესკოპი, რომელიც აგებულია ლენინგრადში. მისი წონა 25 ტონაა. ბუნებრივია, რომ ამდენი ლითონისა და მინის მართვა ადამიანის ხელებს არ შეუძლია. არც საჭიროა: ტელესკოპი ავტომატიზებულია, მისი ელექტრომექანიზმები სწრაფად ასრულებენ მეცნიერთა ბრძანებას — ხელსაწყოს მრავალტონიანი მილი იღებს საჭირო შდგომარეობას, ავტომატურად წარმოებს ციური სხეულების ფოტოგადაღება.

მაგრამ ეს ხელსაწყო აღარ გვეჩვენება დიდად ტელესკოპთან შედარებით, რომელიც აგრეთვე დაიბადა ლენინგრადში და ამას წინათ დაიდგა უირმის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში, სადაც მისთვის აგებულია ცხრასართულიანი სახლის სიმაღლის კოშკი და აქვს დანადგარი, რომელიც მასში იცავს შუდმივ ტემპერატურას. ეს არის ევროპაში ერთ-ერთი დიდი პარაბოლური ტელესკოპი-რეფლექტორი; მისი სარკის შუქდიამეტრი 260 სანტიმეტრს უდრის.

ასეთი სარკეების ხეხვა (რეტუში) დაკავშირებულია უდიდეს ტექნიკურ სიძნელეებთან და იგი შეიძლება შესასრულოს მხოლოდ ყველაზე კვალიფიციურმა ხელსაწყოთმშენებლობამ. ყველა ქვეყანას როდი შეუძლია ასეთი ამოცანის შესრულება. ლენინგრადის ოპტიკურ-მექანიკური ქარხნის საამქროში, სადაც თექვსმეტი თვის განმავლობაში წარმოებდა ეს ოპერაცია, პირდაპირ ქირურგიული სისუფთავე სუფევდა, ხოლო ჰაერის კონდიციონირების დანადგარი უზრუნველყოფდა ერთსა და იმავე ტემპერატურას — 21 გრადუს სითბოს.

სარკის წონა უდრის 4 ტონას და იგი ჩამოსხმულია საუკეთესო ოპტიკური მინისაგან, რომელიც ყველაზე ნაკლებად განიცდის დეფორმაციას გარეგანი პირობების გავლენით. სარკის დანიშნულება ხომ ის არის, რომ მთელი თვისი ზედაპირით თავი მოუყაროს შორეული ციური სხეულების სუსტ შუქს და მოგვცეს მისი გამოსახულება ფოკუსში. უმცირესი არასიზუსტე, რომელიც მიკრონებით განიზომება, — და სურათი ის აღარ იქნება.

და აი ეს უზარმაზარი ოპტიკური ხელსაწყოც კი, რომელიც ას ტონამდე იწონის, პაწაწინად გამოჩნდება იმ გიგანტ ტელესკოპთან შედარებით, რომელიც ნ. ი. კუჩეროვმა მოიხსენია. რა თქმა უნდა, კონსტრუქციის წონით არ განსაზღვრავა ტელესკოპის ღირსებები, მაგრამ მაინც საინტერესოა აღინიშნოს, რომ კოსმოსში დამზნებული ახალი უზარმაზარი „თვალის“ წონა იქნება 630 ტონა! ეს არის ოცდაათი დიდი სატვირთო ვაგონის ტვირთამწეობა, ოთხი ყველაზე დიდი ვეშაპის წონა. ამ გიგანტის მოძრავი ნაწილი — 540 ტონა წონისა! — მიპყვება რა ციური სხეულის მოძრაობას, უნდა ‘მემორჩუნდეს საუკეთესო ქრონომეტრის სიზუსტით. ავტომატიკის რთული კომპლექსი უზრუნველყოფს ამას.

განსაკუთრებით უნდა ითქვას მის უდიდეს ასარკულ სარკეზე, რომლის დიამეტრი იქნება 600 სანტიმეტრი. მთელი ექვსი მეტრი! ამ დისკოს ჩამოსხმა და ხეხვა უმაგალითოა მსოფლიო მეცნიერებასა და ტექნიკაში. ეს ამოცანა უნდა გადაკრან ლენინგრადელმა ხელსაწყოთმშენებლებმა.

ახალი უნიკალური ხელსაწყოს შექმნაში მეტანილია ბევრი პროგრესული პრინციპი, კერძოდ, შემსუბუქებულია მისი წონა ანალოგიური დანიშნულების ამერიკულ ტელესკოპთან შედარებით — ამერიკული ხელსაწყო, რომელსაც ასარკული ძირის დიამეტრი უფრო მცირე აქვს, ათას ტონაზე მეტს იწონის. მისთვის საჭირო გახდა აგება კოშკისა, რომლის დიამეტრი 48 მეტრს უდრის. საბჭოთა ექვსმეტრიანი ტელესკოპი კი მოთავსდება კოშკში, რომლის დიამეტრი იქნება მხოლოდ 28 მეტრი.

— ახალი გიგანტური ტელესკოპები, — ამბობს ნ. ი. კუჩეროვი, — გაფართოებას ჩვენს წარმოდგენას მარსზე, ვენერაზე, მთვარეზე და სხვა ციურ სხეულებზე, შესაძლებლობას მოგვცემს თვალი ვადევნოთ კოსმოსური ხომალდების ფრენას. ჩვენ, ასტრონომებს, განსაკუთრებთ გვიხარია მძიმე თანამგზავრების გაშვება, რადგან ეს შესაძლებლობას მოგვცემს უკვე უახლოეს ხანებში შეექმნათ დედამიწის ატმოსფეროს ფარგლებს იქით კოსმოსური ობსერვატორიები, რომლებსაც ხელს არ შეუშლის ატმოსფერული დაბრკოლებანი. ყოველივე ეს მოაახლოებს ადამიანის მიერ კოსმოსის დაპყრობას. სავსებით ახალი სამყაროების აღქმა მათი თვისებურებებით განსაკუთრებულ გავლენას მოახდენს ადამიანებზე, მეცნიერებისა და ტექნიკის წინაშე გადაიშლება ახალ გამოკვლევათა უჩვეულო ჰორიზონტები, კაცობრიობა ავა თავისი განვითარების ახალ საფეხურზე.

ო. კარიშევი,
„კომუნისტის“ კორ.
ლენინგრადი.

რეპორტაჟი პულკოვოდან

ტაკლა-მაკანის საიდუმლოება

უდაბნო ტაკლა-მაკანი, რომელიც მდებარეობს სინძიან-უიგურის ავტონომიურ ოლქში, არის ქვეშის უტყვი სამეფო, რომელიც იწყება კუენლუნის მთების ძირში და თავდება მდინარე ტარიმთან. ძველათ ეს ყოფილა ნაყოფიერი მინდვრები და ხალხმრავალი ქალაქები, მაგრამ შემდეგში ქვიშამ აიძულა ადამიანები წასულიყვნენ აქედან.

დიდი ხნის განმავლობაში ვერავინ ვერ ბედავდა უდაბნოში შესვლას, რათა გიგო მისი საიდუმლოებანი. ეს საიდუმლოებანი კი მეშმარიტად საკვირველი ყოფილა. 1953 წელს სახალხო ჩინეთის მიერ გაგზავნილმა ექსპედიციამ ქვიშის საზღვრიდან დაახლოებით 250 კილომეტრის მანძილზე აღმოაჩინა დასახლება, რომელშიც 50 კაცი ცხოვრობდა. მსოფლიოს მოწყვეტილ მის მცხოვრებთ, მათ შორის ყველაზე უხუცესს, 80 წლის ამანერჰუს, ეგონათ, რომ ტელიმუს (ასე უწოდებდნენ ისინი თავიანთ სოფელს) და მასში მცხოვრებთა გარდა ქვეყნად არავინ არ არსებობს. ქვიშის ზღვაში დაკარგულმა ადამიანებმა არ იცოდნენ, რა არის ქალაქი, სოფელი, ხორბალი, ხილი და სხვ. ყველაზე დიდ მიღწევად იქ ითვლებოდა უუმისი და ცხოველთა ტყავის ტანსაცმელი.

მეორე ექსპედიცია ტაკლა-მაკანში ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიამ მოაწყო გასულ წელს. ამ ექსპედიციაში შედიოდნენ ბოტანიკოსები, გეოგრაფები, ბიოლოგები, ნიადაგმცოდნეები და ჰიდროლოგები.

როცა ექსპედიცია ტელიმუში მივიდა, გოცებული დარჩა იმ ცვლილებებით, რომლებიც იქ მომხდარიყო. აქ გაჩნდა სკოლა, ახალი სახლები, მაღაზია, მცხოვრებლებმა ისწავლეს ჭების ამოთხრა და მინდვრების დამუშავება.

ტელიმუდან რამდენიმე ათეული კილომეტრის მანძილზე ექსპედიციამ აღმოაჩინა დღემდე უცნობი მლაშე ტბები. ტბების გარშემო ნახეს ხშირი ბალახი და ხეები, ჰაერში დაფრინავდნენ ფრინველები. ჩინელი მეცნიერები უდაბნოს შუაგულში ოაზისების გაჩენას ხსნიან იმით, რომ კუენლუნის თოვლიანი მწვერვალებიდან ჩამონადინი წყალი გზას იკვლევს ღრმად მიწის ქვეშ უდაბნოსაკენ. შესაძლებელია, რომ მიწისქვეშა წყლის საცავები მდიბარეობენ სწორედ უდაბნოს ცენტრში.

ჰადრაკი

ხუთი ქულიდან ხუთი!

გუშინ თბილისის ცენტრალურ საჰადრაკო კლუბში მოეწყო რესპუბლიკური საჰადრაკო ჩემპიონატის გადადებული პარტიების დამთავრება, გათამაშდა აგრეთვე ოსტატ ბ. გურგენიძისა და გ. გამრეკელის მეორე ტურის გამოტოვებული პარტია.

გროსმაისტერ რ. ხოლმოვს ამ დღეს დასამთავრებელი ჰქონდა სამი პარტია. ე. მიქაელიანთან მან კარგად გამოიყენა პოზიციური და მატერიალური უპირატესობა და გათამაშების ცხრილში მორიგი ქულა ჩაიწერა. რ. ხოლმოვის გამარჯვებით დამთავრდა აგრეთვე მისი შეხვედრა რ. შეინცევტთან. მესამე გადადებულ პარტიაში გ. ეგიაშვილთან გროსმაისტერს წასაგები პოზიცია ჰქონდა, მაგრამ მოწინააღმდეგე არაზუსტად თამაშობდა და პარტია კვლავ გადაიდო, ამჯერად საყაიმო მდგომარეობაში.

თ. ლომაიამ დაამარცხა ა. იზვოზჩიკოვი, ე. გუფელდმა — გ. ეგიაშვილი, ა. ბრეიტმან-დ. ჯანოვეის პარტია ყაიმით დამთავრდა. ბ. გურგენიძისა და გ. გამრეკელის გამოტოვებული პარტია გადაიდო ბ. გურგენიძისათვის უკეთეს მდგომარეობაში.

ხუთი ტურის შემდეგ ლიდერს — ე. გუფელს 5 ქულა აქვს, რ. ხოლმოვს — 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ლ. შტეინს — 3,5 ქულა, ა. ბუსლაევს — 3 ქულა და 1 გადადებული პარტია.

დღეს ჩემპიონატის მონაწილეები ისვენებენ, ხვალ გაიმართება მეექვსე ტური.

ძმები შენგელიები

მუშაობა აეროდრომზე ადრე დაიწყო. ავიაციის სპეციალისტები ამზადებენ თვითმფრინავებს ფრენისათვის. ისინი ამარაგებენ თვითმფრინავებს საწვავით, ჰაერით, ჟანგბადით, ამოწმებენ ხელსაწყოებს და რადიოტექნიკურ მოწყობილობას.

გულმოდგინედ მუშაობენ ელექტრომოწყობილობის მექანიკოსები ძმები შენგელიები. ისინი კარგად იცნობენ ტექნიკას, პრაქტიკული გამოცდილებაც აქვთ. მათ მიერ მომზადებულ მოწყობილობას არასოდეს არ უღალატნია ჰაერში.

არმიაში გაწვევისას ძმები არ მოელოდნენ, რომ ავიაციაში მოხვდებოდნენ. და როდესაც მიმდებმა კომისიამ გამოუცხადა მათ, რომ იგზავნებიან საავიაციო სპეციალისტების სკოლაში, გულიმ და იურიმ კინაღამ ცეკვა დაიწყეს.

ძმებმა ერთად დაამთავრეს სკოლა, ერთად გაიგზავნენ ნაწილში, სადაც ამჟამად მომსახურებას უწევენ თვითმფრინავების საავიაციო მოწყობილობას. ისინი შეჯიბრებაში არიან ჩამოული ტექნიკის საუკეთესო მომზადებისა და ექსპლოატაციისათვის. მეომრებმა სწრაფად აითვისეს მატერიალური ნაწილი, ფრიადოსნები გახდნენ. მეთაურმა მათ გადასცა სამკერდე ნიშნები „სამხედრო-საჰაერო ძალთა ფრიადოსანი“.

ერთხელ მეთაურმა გამოიძახა ძმები და უთხრა:

— სწავლებაში და სამსახურში წარმატებისათვის გაძლევთ მოკლეადიან შვებულებას.

ძმები წავიდნენ სამშობლოში — ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭოჩარში, ინახულეს მახლობლები, გაახარეს მამა, ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშა.

...კვლავ აეროდრომზე არიან ძმები. ეფრეიტორი შენგელია ამოწმებს ძმებს თვითმფრინავი ჟანგბადით.

სურათზე: (მარცხნიდან) უმცროსი სერჟანტი გ. შენგელია და ეფრეიტორი ი. შენგელია.

ფოტო ავტორისა.

ეშეიქმნა საავენტო „ახალი ამბები“

21 თებერვალს მოსკოვში, საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხებთან მეგობრობის სახლში გაიმართა პრესის საზოგადოებრივი საგენტოს დამაარსებელთა კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საზოგადოებრივი საგენტოს შექმნის ინიციატორებმა — საბჭოთა ჟურნალისტების კავშირის, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წარმომადგენლებმა.

კონფერენციაზე გამოვიდნენ საბჭოთა ჟურნალისტების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე პ. ა. სატიუკოვი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გ. მ. მარკოვი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ნ. მესიაცევი, რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ლ. ს. სობოლევი და სხვები.

ყველა ორატორმა აღნიშნა, რომ გაიზარდა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა როლი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, გაფართოდა მათი საერთაშორისო კავშირურთიერთობა, რომ საზღვარგარეთ დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირისადმი.

თავის მხრივ, საბჭოთა ადამიანები დიდ ინტერესს იჩენენ საზღვარგარეთის ამბებისადმი.

საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება შეიქმნას მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა პრესის საგენტო სახელწოდებით „ახალი ამბები“.

ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის წევრმა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა ი. პ. ზორონოვმა შეიტანა წინადადება შეიქმნას საგენტოს ხელმძღვანელი ორგანო — დამაარსებელთა საბჭო. კონფერენციამ ეს წინადადება მიიღო. საგენტოს დამაარსებელთა საბჭოს შემადგენლობაში არჩეული არიან თვალსაჩინო საბჭოთა ჟურნალისტები, მწერლები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები. შემდეგ კონფერენციამ განიხილა ახალი საგენტოს წესდების საკითხი. მოხსენება გააკეთა მეგობრობის საზოგადოებათა კავშირის სამართლის სექციის თავმჯდომარემ პროფესორმა კ. პ. გორშენინმა. კონფერენციამ დამაარსებელთა საბჭოს დაავალა წესდების საბოლოო ტექსტი დასამტკიცებლად წარუდგინოს დამაარსებელ ორგანიზაციებს.

კონფერენციას დაესწრნენ მთელი რიგი საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პრესის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის წარმომადგენლნი.

რამდენიმე სტრიქონით

□ **თბილისის** ფარმაცევტული ქარხნის პროდუქციას იცნობენ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. მედიკამენტების ერთი პარტია უკვე გაიგზავნა კუბაში. ამ დღეებში წამლები გაიგზავნება ერაყში, ბულგარეთში და სხვ. საბჭოთა გამოფენებზე უცხო ქვეყნებში გაიგზავნა რამდენიმე ნიმუშის ალოე ამპულებით და პლატიფილინი.

□ **მეზრომელთა** დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის გაცხოველებით ემზადებიან კავშირვამუშლობის ორგანოები. მოწყობილი იქნება რადიოკავშირი მაღალმთიან მესტიის, დუშეთის, ყაზბეგის, ადიგენის, ლენინგორის რაიონებთან, აგრეთვე საზამთრო საძოვრებზე მოწყობილ საარჩევნო უბნებთან. რადიოფიცირებული იქნება ყველა საარჩევნო პუნქტი და ავტოპუნქტები.

□ **პუშკინის** სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტთან გაიხსნა მშობელთა უნივერსიტეტი. პირველი ლექცია თემაზე „მოზარდი თაობის განმრთელობას დაცვა ყველა ჩვენგანის საქმეა“ წაიკითხა პროფესორმა ა. ყანჩელმა.

ხელოვნების ქრონიკა

ხალხური სიმღერის ოსტატები

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავ მე-9 რესპუბლიკურ საიუბილეო ოლიმპიადაში, რომელიც თბილისში მიმდინარეობს, მრავალრიცხოვან საგუნდო კოლექტივებთან ერთად წარმატებით გამოდიან მცირე შემადგენლობის ვოკალური ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები, რომელთა რეპერტუარში ძირითადი ადგილი ძველი ქართული სიმღერების პოპულარიზაციას უჭირავს. ამ მხრივ სხვა კოლექტივებთან ერთად აღსანიშნავია ლანჩხუთის კულტურის სახლთან არსებული ვოკალური ანსამბლი „შვიდაკაა“ ა. პაიჭაძის ხელმძღვანელობით. ეს პატარა კოლექტივი გ. გუმბარიძის, ტ. გურგენიძის, დ. ტიკარაძის, მ. შანავას, შ. კოტრიკაძისა და ტ. შანავას შემადგენლობით ამ დღეებში წარმატებით გამოვიდა ტელესტუდიით გადაცემულ კონცერტშიც. მომღერლებმა შეასრულეს ქართული სიმღერები „ჩიტი“, „პატარა საყვარელო!“ და სხვ.

„შვიდაკაცას“ რეპერტუარში აქვს აგრეთვე ახალი ხალხური სიმღერები „ახალი სოფლის შვილი ვარ“, „შემოვძახოთ სიმღერები“, „სიმღერა ეგნატე ნინოშვილზე“, „გადაქოჩრილო სამშობლოვ“, რომლებსაც იგი ოსტატურად ასრულებს.

ს. იოგბაშვილი.

„სახიფათო გზაჯვარედინზე“

თელავი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ლ. მილორავას დრამა „სახიფათო გზაჯვარედინზე“.

პიესა დადგა რეჟისორმა ნ. დეისაძემ, მხატვრულად გაფორმა დ. ბალარჯიშვილმა, მუსიკა დაწერა მ. სებუამ. როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ვ. ჩელთსპირელი, მსახიობები ა. კუპატაძე, დ. სხირტლაძე, ე. კუპავა, მ. ღაღაშვილი, ნ. ურუშაძე, ო. შუბითიძე და სხვები.

მაყურებელმა სპექტაკლი გულთბილად მიიღო.

მურმანი — თენგიზ ზეინკლიშვილი

ამ დღეებში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივმა კვლავ წარმოადგინა ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერა „აბესალომ და ეთერი“ (დირიჟორი სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი, დამდგმელი რესპუბლიკის სახალხო არტისტი ი. თუმანიშვილი).

აბესალომის პარტია იმღერა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა, სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტმა ზურაბ ანჯაფარიძემ, ეთერისა — რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თამარ თაქთაქიშვილმა, მეფე აბოსი — პეტრე თომაძემ, მარეხისა — ნათელა ტუღუშმა, დედოფალ ნათელასი — რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ელენე ხიჯაკაძემ.

მსმენელი დიდად გაახარა ახალგაზრდა მომღერალმა თენგიზ ზეინკლიშვილმა, რომელმაც მურმანის პარტია იმღერა.

„კომუნისტის“ კორესპონდენტმა სთხოვა „ცნობილ მურმანს“ — სსრ კავშირის სახალხო არტისტს პეტრე ამირანაშვილს გამოეთქვა თავისი აზრი თენგიზ ზეინკლიშვილის საშემსრულებლო ხელოვნებაზე. მან თქვა:

— თენგიზ ზეინკლიშვილი ერთ-ერთი ნამდვილად საინტერესო ახალგაზრდა ჩვენთვის. ძველი თაობის წარმომადგენელი ვარ, დიდი სიხარული ეფინება ამ ახალგაზრდა მომღერლის [illegible] ტება. შეიძლება ითქვას, რომ თენგიზის მურმანი ნამდვილად ბრწყინვალეა. თავისი კარგი ხმით იგი კიდევ მეტს მიაღწევს, თუ კვლავაც ესოდენ

მონდომებით იმუშავებს. ჩვენი თეატრის სცენაზე ამ ნიჭიერმა ახალგაზრდამ მურმანის პარტიამდე იმღერა ლევანის („ქეთო და კოტე“) და ალფიოს („სოფლური ღირსება“) პარტიები. ხოლო ახლო მომავალში თენგიზ ზეინკლიშვილს ჰამლეტად ვხედავთ „დანიაში“ (კიაზო) და „ტრავიატაში“ (ფერმონი).

იმედი მაქვს იგი კვლავაც არაერთხელ გაახარებს თავის უფროს მეგობრებსა და მსმენელებს.

სურათზე: მურმანი — თენგიზ ზეინკლიშვილი.

სუსტი მიწისძვრა ყირიმში

იალტა. 21 თებერვალი. (საკდესი). 3 საათსა და 32 წუთზე და 4 საათსა და 05 წუთზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტის ყირიმის ზონის ხუთივე სეისმოგრამა სადგურმა აღნიშნა ორი მიწისძვრა.

4 ბალის ძალის პირველი ბიძგი სუსტად იგრძნო სამხრეთ ნაპირის მეევრმა მცხოვრებმა ლივადიიდან ალუშტამდე. 33 წუთის შემდეგ იყო ახალი ბიძგი.

ხორგალი „რაკეტა“

კრასნოიარსკი, 21 თებერვალი. (საკდესი). „რაკეტა“ — ასე ეწოდება ახალი მაგარი ჯიშის ხორბალს, რომელიც კრასნოიარსკის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა გამოიყვანა. გასულ წელს გამოცდის დროს მან მოგვცა 28 ცენტნერი მოსავალი ჰექტარზე. „რაკეტა“ მწიფდება ერთი კვირით ადრე, ვიდრე ცნობილი „ხალხური“ ჯიში და ჩაწოლილობით უფრო მედეგია სხვა ჯიშის მაგარ ხორბალთან შედარებით.

სასამართლოს დარგაზიდან

ნაძვისხეების ქურდები

ჩვენს მშვენიერ დედაქალაქში ისეთი უსაქმური ადამიანებისათვის, როგორიც არის ვიქტორ ჟურბა, ადგილი არ არის. „პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე ვ. ჟურბა გასახლებულად იქნა თბილისიდან ქ. ჭიათურაში.

მაგრამ ჟურბა რის ჟურბა იქნებოდა, თუ ასე იოლად დაემორჩილებოდა გადაწყვეტილებას. იგი მალე გამოიქცა ჭიათურიდან და მაღლად ცხოვრობდა თბილისში.

ახალი წლის წინადღეები იყო. ორი მეგობარი — ვ. ჟურბა და კ. არუთინოვი ქუჩაში სეირნობდნენ. მათ სახე ჩამოსტიროდათ.

— აგერ კარზე ახალი წელი მოგვაკაკუნა, ჩვენ კი ერთი ჭიქა არაყის ფული არა გვაქვს, — ჩაილაპარაკა კ. არუთინოვმა.

— რაღაც უნდა მოვიფიქროთ, — უპასუხა ვ. ჟურბამ. ამ დროს მისი ყურადღება მიიპყრო სამტრედიის ქუჩის კუთხეში გაშენებულმა სკვერმა, სადაც ტანაშოლტილი მწვანე ნაძვები მზის სინათლეზე ხასხასებდნენ.

...კარგა დაღამებული იყო, როცა სამტრედიის ქუჩის სკვერში ნაჯახებით შეიარაღებული ორი ახრდილი შეიპარა და ნაძვებს უმოწყალოდ დაუწყო ძირში ჩეხვა. მათ 19 ძირი ნაძვის ხე მოჭრეს და მეორე დილით ქუჩაში დაუწყეს გაყიდვა. ვ. ჟურბა და კ. არუთინოვი მილიციის მუშაკებმა დაიკავეს.

თბილისის სტალინის რაიონის სახალხო სასამართლომ თ. გურსამიას თავმჯდომარეობით ამას წინათ გაარჩია ვ. ჟურბასა და კ. არუთინოვის საქმე და თითეულ მათგან ორ-ორი წლის პატიმრობა მიუსაჯა.

ზ. მესხენგისერი.

იშვიათი შემთხვევა

სილღაღის რაიონის სოფელ ულიანოვკის ულიანოვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში ერთმა ცხვარმა ხუთი ბატკანი მოიგო.

ყველა ბატკანი შენარჩუნებულია.

ნ. შარმიაშვილი.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

23 თებერვალი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — დონ-კიხოტი (მე-17 აბონ. მე-5 წარმ.), რუსთველის სახელობის — ჰამლეტი, მარჯანიშვილის სახელობის — კოლხეთის ცისკარი, გრიბოედოვის სახელობის — თხუნელა (მე-2 აბონ. მე-4 წარმ.), სანკულტურის — პროფესორ დოუელის თავი (აბონ. გარეშე), ცირკი — დიდი ატრაქციონი — რსფსრ სახალხო არტისტი კიო.

ტელევიზია: 12.00 — ქართული ფილმების ფესტივალი — ბხატვრული ფილმი — „ჩრდილი გზაზე“, 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი — „რადაც უნდა დაჯდეს“ (საბჭოთა არმიის 43 წლისთავის გამო), 19.30 — გადაცემა, მიძღვნილი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი, 19.50 — პასუხი ტელენაყურებელთა შეკითხვებზე, 20.10 — ლიტერატურულ-დრამატული ალმანახი, 20.50 — ახალი ამბები, 21.00 — მხატვრული ფილმი — „ეძებე ვანდა კისი“.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-81-65, **განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, ილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-61-42.

ეე 05458 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.